# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 24 ოქტომბერი 2008 №246 (3470)

ფასი 50 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# მარადონა პოლიტიკაშიც მარადონაა

## ქართველებო, თქვენთან ვარ!





# დიეგო მარადონა
# აი, ღმერთის ხელი!
## საქართველოში საქართველოსთვის ჩამოვედი

**ფეხბურთის** ლეგენდა დიეგო მარადონა თბილისშია და მისი აქ ჩამომყვან-ორგანიზატორის, ნიკო პატარქალიშვილის მისამართით მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ...

— ძალიან გთხოვთ, ახლა კულტურულად მოიქეცით, თორემ მარადონა აქ არ მოვა...

ეროვნული სტადიონის საკონფერენციო დარბაზში დიეგო მარადონას პრესკონფერენცია ექვს საათზე იყო დაგეგმილი, თუმცა კი ამ ლეგენდის ჩამომყვან-ორგანიზატორმა ამგვარი უაზრო სიტყვით სადღაც რვა საათისკენ მოგვმართა... მაშინ, როცა დარბაზის კარი გაიღო და იქ მყოფნი მარადონას ველოდით, გამოჩნდა პატარქალიშვილი და ის თქვა, რაც უკვე წაიკითხეთ...

რეპლიკის სახით: ბატონო ნიკო! უკულტურო-უზრდელებთან ეს დიდი კაცი რად ჩამოიყვანეთ?!..

დიდი დიეგო აქ არის — თავისი ახირებებით, სიტყვაძუნწობით, თავისი უხეშობით და კიდევ იმით, რისთვისაც მან ძალიან, ძალიან ბევრი ქომაგის პატივისცემა დაიმსახურა, მათ შორის, უამრავი ქართველის...

— როგორ ფიქრობთ, თქვენ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ხართ? ჩვენ ასე ვთვლით — მიმართა დიდ დიეგოს ჩვენმა იმედელმა კოლეგა ლევან სალუქვაძემ...

პასუხიც მარადონასეული იყო:

— თქვენი სახით დღეს ერთი მეგობარი კიდევ შევიძინე...

დიდი დიეგო აშკარად იშტაზე მოვიდა და დარბაზიდან მომდევნო კითხვას, გახსოვთ, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი, როცა ბრაზილიის ნახევარი ნაკრები მოატყუეთ და კლაუდიო კანიჯას საგოლე პასი რომ გაუკეთეთო — ისეთი ჟესტი მოაყოლა, სიტყვით ვერ გადმოგცემთ, ბრაზილიას ხომ ჩავუტარე საფეხბურთო გაკვეთილიო, დაახლოებით ასე შეგვიძლია განვმარტოთ მისი პასუხი...

შემდეგ ერთი ქომაგის თხოვნაც იყო, შემიძლია ხელი იმ ხელზე ჩამოგართვათ, რომელსაც თქვენ ღმერთის ხელი უწოდეთო...

დიდმა დიეგომ მარცხენა გაუწოდა, ეს ხელი იყოო...

ცხადია, ერთმანეთს ხელიც ჩამოართვეს...

დიეგო მარადონას მისამართით კითხვები თუ თხოვნები რომ აღარ წყდებოდა, ითქვა, ერთი-ორი მის გვერდით მყოფ კლაუდიო კანიჯასა და გაბრიელ ამატოსაც ჰკითხეთო... თუმცა, ბუნებრივია, კითხვები ისევ ფეხბურთის ლეგენდისკენ იყო.

— ალბათ იცით, რომ ემილ კუსტურიცამ თქვენზე ფილმი გადაიღო, რომელსაც ქართველებიც მალე ვნახავთ...

— არა, ამის შესახებ არაფერი ვიცი.

— ქართველი ფეხბურთელებიდან ვის იცნობთ?

— არავის, თუმცა კი მახსოვს, რომ 1981 წელს არგენტინაში რამდენიმე მატჩი თბილისის „დინამომ" ჩაატარა. ახლა კი თბილისში მე ვარ.

— არგენტინის ნაკრების მწვრთნელობა არ გსურთ?

— როგორ არა, ეს ჩემი ოცნებაა, მაგრამ სჯობს, ამ კითხვით ხულიო გრონდონას მიმართოთ, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს.

— შეგიძლიათ, ჩამოთვალოთ საუკეთესო თავდამსხმელები?

— რომარიო, კარეკა... დღეს კი რიკელმე, მესი, აგერო... და, რა თქმა უნდა, კლაუდიო კანიჯა.

— დღესდღეობით ვინ არის არგენტინის ნაკრების ლიდერი?

— არგენტინაში ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია და ბევრს შეუძლია, ლიდერი იყოს.

— მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის ფინალში კანიჯაც რომ ყოფილიყო, ჩემპიონი არგენტინა გახდებოდა?

— რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ.

— თბილისში თავს როგორ გრძნობთ?

— მშვენივრად, არანაირი პრობლემა... ვიცი, რაც ბოლო დროს საქართველოში მოხდა და ამის გამო ძალიან ვწუხვარ. დიეგო მარადონა საქართველოსა და ქართველი ერის გვერდით არის, სწორედ ამიტომ ჩამოვედი. თავისუფლებისმოყვარე ხალხი თავისუფლებას იმსახურებს — თქვა თავისუფლებისმოყვარე მარადონამ...

ის აქ არის — დიდი დიეგო!!!

მას ხვალ ეროვნულ სტადიონზე ვნახავთ...

და მაინც, კულტურა მაინც სხვაა...

**კობა ინასარიძე**

# საარგენტინო საქართველო

**საქართველოს** ვეტერანთა ნაკრები დიეგო მარადონასთან და მის მეგობრებთან მატჩისთვის მზადებას დღეიდან იწყებს: საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტ „ბასაში" 16 საათზე ივარჯიშებს.

მატჩის ორგანიზატორმა ნიკო პატარქალიშვილმა ითხოვა, რომ ვეტერანთა ნაკრების შემადგენლობა ისეთივე ყოფილიყო, როგორც შოთა არველაძის გაცილების მატჩისას გახლდათ. თუმც ამ შემადგენლობის სრულად შეკრება ვერ ხერხდება.

თავად შოთა არველაძე ამჟამად ჰოლანდიაშია და თბილისში მატჩის დღეს ჩამოვა.

ჩვენი ვეტერანების არასრული სია ასეთია: *ნიკა ჩხეიძე, ირაკლი ზოიძე, გელა შეყილაძე, მურთაზ შელია, გიორგი ჩიხრაძე, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, გიორგი ანწაბაძე, გელა ინალიშვილი, რევაზ არველაძე, არჩილ არველაძე, შოთა არველაძე.*

ამ შემადგენლობას რამდენიმე ვეტერანი კიდევ შეემატება.

**ნუკრი ლოლაძე**

# იქ, სადაც უყვართ არგენტინა და დიეგო

## კანიჯების ოჯახში ფეხბურთს უკვე აღარ თამაშობენ!

**გუშინ** თბილისში დიეგო მარადონას ჩამორჩენილი კლაუდიო კანიჯა ჩამოვიდა და თუ მარადონას დიადად მოვიხსენიებთ, კლაუდიო კანიჯაზე დიდი ფეხბურთელის თქმა ალალი იქნება.

კანიჯას კარიერიდან ბლომად ამბების გახსენება შეიძლება, მაგრამ ერთ კონკრეტულ შეჯიბრზე, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე შევჩერდებით.

მერვედფინალი. არგენტინა — ბრაზილია. ძირითადი დრო უგოლოდ ილევა. 81-ე წუთზე კი დიეგო მარადონა იდეალურ პასს აძლევს კანიჯას, რომელიც სამ ბრაზილიელ მცველს შორის ძვრება და გამაჯვების გოლს იტანს...

ნახევარფინალი. იტალია — არგენტინა. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლები სალვატორე სკილაჩის გოლით იგებენ. მატჩის დასრულებამდე 25-ოდე წუთი რჩება, იტალიელი ტიფოზები ამ წუთებს ითვლიან და ფინალზე ფიქრობენ. არაფერი გამოუვიდათ: კანიჯამ გაათანაბრა, პენალტების სერიაში კი სერხიო გოიკოეჩეამ ორი ბურთი მოიგერია...

ფინალში კი... ფინალში კლაუდიო კანიჯას არ უთამაშია. იტალიასთან მატჩისას ფრანგმა არბიტრმა ვოტრომ ყვითელი ბარათი აუფრიალა და დისკვალიფიკაცია მიაღებინა. უამრავი ადამიანი დარწმუნებულია, რომ მსაჯმა შესცოდა და ის გაფრთხილება კანიჯამ უსამართლოდ მიიღო...

არგენტინას ფინალში კანიჯა რომ ჰყოლოდა... თუმც ამაზე ლაპარაკი უაზრობაა, არაფერს მოგვცემს და ვერაფერს დავამტკიცებთ.

ამგვარად, კლაუდიო კანიჯა მსოფლიოში უმთავრესი საფეხბურთო ტიტულის გარეშე დარჩა, არადა, ჯილდო-ტიტულები, იცოცხლეთ, იმდენი აქვს: არგენტინის და შოტლანდიიის ჩემპიონი; შოტლანდიისავე ასოციაციის და ლიგის თასები; კოპა ლიბერტადორესი და კოპა ინტერამერიკანა; საკონტინენტთაშორისო თასი, კოპა ამერიკა და კონფედერაციათა თასი; ყატარის პრინცის თასიც...

კანიჯას და ქართველების გზა კი შოტლანდიაში გადაიკვეთა, სადაც „დანდიში“ და „რეინჯერსში“ გიორგი ნემსაძესთან, შოთა არველაძესთან და ზურაბ ხიზანიშვილთან ერთად ითამაშა.

გუშინაც, თბილისში ჩამოსულ კანიჯას, აეროპორტში ნიკო პატარქალიშვილთან ერთად გიორგი ნემსაძე და შოთა არველაძის ძმა არჩილი დახვდნენ.

გუშინვე კანიჯა მარადონასთან ერთად პრესკონფერენციაზეც შეხვდა ჟურნალისტებს, თბილისში ჩამოსვლისთანავე კი სახელდახელოდ გაგვესაუბრა. კითხვა-პასუხი ისეთი იყო, ასეთ დროს ჩვეულებრივ როგორც არის-ხოლმე.

— ძალიან მიხარია, საქართველოში რომ ჩამოვედი. დიეგოს შემოთავაზებაზე უარს ვერ ვიტყოდი. თანაც საქართველოში მეგობრები მყავს, გიორგი ნემსძე, შოთა არველაძე... გეცოდინებათ, ჩვენ თანაგუნდელები ვიყავით. მოედანზე ისინი ძალიან კარგი პარტნიორები იყვნენ, მოედანს მიღმა კი — საუკეთესო მეგობრები. ისიც ვიცი, რომ საქართველოში არგენტინულ ფეხბურთს და თავად დიეგოს უამრავი გულშემატკივარი ჰყავს და ამიტომაც განსაკუთრებით მიხარია, ჩამოსვლის საშუალება რომ მომეცა.

სანამ დამხვედრებით გარშემორტყმული კლაუდიო კანიჯა კომენტარებს აკეთებდა, ავტოგრაფებს არიგებდა და გულშემატკივრებთან ფოტოებს იღებდა, მისი 14 წლის ვაჟი ალექსანდრი აეროპორტის თვალიერებით ირთობდა თავს.

— **ფეხბურთს თამაშობ?**

— ხანდახან, გასართობად.

— **რაიმე სხვა სპორტით ხარ დაკავებული?**

— ჩოგბურთსაც ვთამაშობ-ხოლმე.

— **და-ძმა გყავს?**

— კი, ორი ძმა და და.

— **შენი ძმებიც არ თამაშობენ ფეხბურთს?**

— სამწუხაროდ, არა.

— **სად ცხოვრობთ?**

— ესპანეთში, მადრიდში.

— **არგენტინაში ჩადიხარ-ხოლმე?**

— ძალიან იშვიათად.

ამ დროს კლაუდიო კანიჯა აეროპორტიდან გავიდა და ალექსანდრსაც დავემშვიდობეთ. იქამდე კი, გიორგი ნემსაძეს და არჩილ არველაძესაც გავესაუბრეთ.

**გიორგი ნემსაძე:** მე და კლაუდიო კანიჯა „დანდიში“ ერთი წელი ერთად ვთამაშობდით. ძალიან კარგი პიროვნებაა, ყველანი ხედავთ, როგორ თბილად შეხვდა ქართველს ხალხს — კანიჯა გულღია და კეთილი ადამიანია.

**არჩილ არველაძე:** შოთას გაცილების მატჩზეც უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ მაშინ სამწუხაროდ, ვერ მოახერხა თბილისში ჩამოსვლა და მიხარია, რომ ახლა აქ არის. ჩემი აზრით, დიეგო მარადონას და გაბრიელ ბატისტუტას შემდეგ კანიჯა საუკეთესო არგენტინელი ფეხბურთელია.

**ქოთე ქექელია**
**ნუკრი ლოლაძე**









არჩილ არველაძე და კლაუდიო კანიჯა





გიორგი ნემსაძე და ალექსანდრ კანიჯა

ღარიბი არგენტინელი ოჯახის შვილი, რომელიც მთელი ბავშვობა ბურთს დასდევდა და უკვე 16 წლისა ოჯახს ინახავდა — დიახ, სკოლის ასაკს ძლივს გადასცდენოდა და უკვე მთელი არგენტინის საფიქარი იყო. აი, ზიხარ და ფიქრობ, საიდან დაიწყო დიეგო მარადონაზე ლაპარაკი. რომ თქვა, გენიალური ფეხბურთელი იყოო, იგივეა, არაფერი თქვა... ისევ სკოლის ასაკს მოვუბრუნდეთ — 17 წლის დიეგო ლუის მენოტიმ 1978 წლის მუნდიალზე არ ათამაშა, არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ახლა წარმოიდგინეთ, რა დონის ვარსკვლავზეა ლაპარაკი, როცა მენოტის, ჩემპიონობის მიუხედავად, აკრიტიკებდნენ, ვუნდერკინდი ნაკრებს მიღმა როგორ დატოვეო... ფეხბურთის მშვენება თბილისშია და ისე როგორ იქნება, მის წინააღმდეგ სამჯერ ნათამაშევ თენგიზ სულაქველიძეს არ დავკავშირებოდით. თანაც, ნათამაშევსაც გააჩნია — „ქომას" სამივე მატჩში დიეგოს პერსონალური მეურვეობა ჰონდა დავალებული... როგორია? „მისი განეიტრალება შეუძლებელი იყო. ან საერთოდ უნდა შერცხვენილიყავი, ან ცოტათი მაინც უნდა შეგეჩერებინა. მადლობა ღმერთს, ეს „ცოტათი" გამოვიდა — გვიყვება სულაქველიძე, რომელსაც საუბარზე ეტყობოდა, როგორი სიამოვნებით და სიამაყით იხსენებდა იმ დროს...



# მარადონა? რას მერჩის ბესკოვი...

— ეს სასწაული იყო. სიტყვები არ მყოფნის, მისი სიძლიერეე გადმოვცე.

— პელე თუ მარადონა? ამ კითხვას ყავლი არ გაუვა და...

— მაინც მარადონა. პელეს გარშემო ჰყავდა დიდი, გარინჩა, ვავა, შემდეგ ჟაირზინიო, ტოსტაო... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, სულ ვარსკვლავების გვერდით თამაშობდა. მარადონამ კი მარტომ მოიგო 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი.

— თქვენი და მარადონას დაპირისპირება გაიხსენეთ. პირველად ეს 1980 წელს იყო...

— დიახ, საბჭოეთის ნაკრები სტუმრად არგენტინას ვეთამაშებოდით ამხანაგურად. თამაში 1:1 დამთავრდა და მარადონამ გაიტანა. მახსოვს, რინატ დასაევმა ცუდად მისცა ბურთი ლეონიდ ბურიაკს, დიეგომ წაართვა და შეაგდო. ჩემი ბრალი არ იყო. მატჩის შემდეგ მწვრთნელმა კონსტანტინ ბესკოვმა შემაქო, კარგად ეთამაშე პერსონალურადო. რა თქმა უნდა, მისი დაჭერა შეუძლებელი იყო — ან ცოტათი უნდა შეგეჩერებინა, ან საერთოდ ვერა.

—...მახსოვს, ბესკოვმა თამაშის წინ რომ მითხრა, მარადონას პერსონალურად დაუდგებიო. სადილზე ჩავდიოდით კიბეებზე და კინაღამ დავიშოკე, ვიფიქრე, რას მეუბნება ეს კაცი, ამდენ ხალხში რაღა მაინცდამაინც მე დამავალა-მეთქი. გავიფიქრე, ალბათ, ჩემი ნაკრებიდან მოშორება უნდა... საერთოდ, ცნობილი იყო, რომ ბესკოვს ქართველები არ უყვარდა. მე და ალექსანდრე ჩივაძეს კარგად გვექცეოდა და გვაფასებდა, მაგრამ ზოგადად ბევრს ლაპარაკობდნენ, ქართველები არ უყვარსო. ჰოდა, ეგ გავიფიქრე, ჩემ ქართველობას უნდა შეეწიროს სანაკრებო კარიერა-მეთქი. მადლობა ღმერთს, თამაშის შემდეგ ბესკოვმა შემაქო.

— პერსონალურად ეთამაშე ამხელა ვარსკვლავს და ნამატჩევს მაისურა ვერ გაუცვალეთ?

— ჩივაძემ გაუცვალა და ის მაისურა ახლა კაფე „მსოფლიო სპორტშია".

— მარადონას ფონზე არგენტინის ნაკრების სხვა ფეხბურთელები საერთოდ არ ჩანდნენ?

— მის ფონზე ვერავინ გამოჩნდებოდა...

— მეორედ 1981 წელს ითამაშეთ მარადონას წინააღმდეგ...

— დიახ, მაშინაც არგენტინაში და ისევ 1:1. იმ დროს საბჭოთა ნაკრებს ლობანოვსკი-ბესკოვი-ახალკაცის სამეული წვრთნიდა. ბევრი ქართველი ვიყავით ნაკრებში და პერსონალური მეურვეობა ისევე მე მერგო. ეს იყო მსოფლიოს ჩემპიონატამდე და რატომღაც მეგონა, რომ მარადონა 1982-ში გააჩემპიონებდა არგენტინას, თუმც რაც მაშინ ვერ მოახერხა, ოთხი წლის მერე შეძლო.

...ჩვენი მესამე დაპირისპირება 1985 წელს იყო. გერმანიაში გამართულ ოთხთა ტურნირზე, სადაც ჩვენ, არგენტინა, გერმანია და შვედეთი ვიყავით. ტურნირი შვედეთმა მოიგო, ჩვენ კი არგენტინას 4:1 ვაჯობეთ. იმ თამაშის წინ ცენტრში რომ დავდექით, მარადონა მოვიდა ჩემთან, ხელი მომხვია და რაღაც მითხრა ღიმილით. ცხადია, მთლად კარგად ვერ გავიგე ნათქვამი, მაგრამ ვფიქრობ, მთხოვა, ცოტა ნელა მეთამაშე, რას გიხდიან ამდენს საბჭოთა ნაკრებში, თავს რომ იკლავო...

— ეუხეშებოდით?

— ხშირად არა, მაგრამ ოთხხუთჯერ მაგრად მოვარტყი ფეხებში. ისე, თავისებური რიდი მქონდა, რომ ამხელა ვარსკვლავთან ძალიან უხეშად არ უნდა მეთამაშა.

— უხეშობისთვის ხურდა არასოდეს დაუბრუნებია?

— არა, ვითომც არაფერი მომხდარაო, წამოდგებოდა და ისევ ჯიქურ მოდიოდა შეტევებზე. პირადად ჩემთან შეტაკებისას, არ მახსოვს, როდესმე მსაჯისთვის ებუზღუნოს. ბედნიერი ვარ, რომ მის წინააღმდეგ მითამაშია. მარადონას თამაშის ყურება დღესასწაული იყო. პლატინი, ზიკო, რუმენიგე, კონტი, ელკიაერი — ესენი ყველანი დიდი ვარსკვლავები იყვნენ, მაგრამ მარადონას იმ პერიოდში წინ ვერავინ დაუდგებოდა, დაჩრდილულები იყვნენ მის ფონზე. მარტო შეეძლო მოგება.

— ინგლისთან ხელით გატანილი გოლი, ბრაზილიელი ბატისტას ჩაწიხლვა, საბჭოთა კავშირთან კარიდან ხელით გამოტანილი ბურთი — ბევრმა მარადონას ეს დიდ მინუსად ჩაუთვალა. თქვენ რას იტყვით?

— ფეხბურთი ისეთი რამ არის, ამაზე უკვე აღარ ფიქრობ. მარადონა ყველაფერს აკეთებდა, რათა მის გუნდს შედეგისთვის მიეღწია, არანაირ ეშმაკობას არ ერიდებოდა. ძნელია, ამას ნაკლი დაარქვა. შეიძლება, მართლაც ნაკლია, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება...

— მარადონას მეგობრებსა და ქართველ ვეტერან ფეხბურთელთა შორის მატჩში ითამაშებთ? კიდევ ერთხელ დიეგოს წინააღმდეგ...

— თუ საჭიროდ ჩათვლიან, დიდი სიამოვნებით. რამდენადაც ვიცი, ჩემზე ახალგაზრდებმა უნდა ითამაშონ. ვნახოთ, ძალიან კი მინდა... 15-20 წუთით გავაგორებდი ბურთს.

...ბედნიერი ვარ, ვარსკვლავური პერიოდი რომ გამოვიარე, ამხელა ფეხბურთელის წინააღმდეგ სამჯერ მაქვს ნათამაშევი, მაგრამ გული მწყდება, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ვერ ვითამაშე. ბედნიერები არიან დღევანდელი ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები, თავიანთ სამშობლოს სახელს რომ იცავენ...

**ილია ნანოგაშვილი**

# თემურ ქეცბაია: ძნელია მილოცვა, მაგრამ ვულოცავ



კვიპროსულ „ანორთოსისს" გუშინწინდელ „სან სიროზე" დიდი ანგარიშით წაგებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ თემურ ქეცბაიას გუნდმა ოდენ 0:1 დათმო „ინტერთან", რომელმაც მანამდე სამი დღით ადრე „რომა" სტუმრად 4:0 გააკრა ბეჭებზე.

მართალია, „ინტერი" სოლიდურ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ „ანორთოსისს" ორი საგოლე მომენტი ჰქონდა და რომ გაეტანა...

მარცხის მიუხედავად, ქეცბაიას გუნდი მეორე ადგილზეა და ჯგუფიდან გასვლის კარგ შანსს ინარჩუნებს.

ქართველი მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა თავისიანების თამაშით.

„ძნელია, წაგების შემდეგ ფეხბურთელებს მიულოცო, მაგრამ მე მათ კარგ თამაშს ვულოცავ. „ინტერი" ბრწყინვალე გუნდია, მაგრამ მოხარული ვარ, რომ მედგარი წინააღმდეგობა გავუწიეთ, ჩემი ბიჭები მრისხანე მეტოქეს თვალებში უყურებდნენ. ახლა თავდაუზოგავად უნდა ვიმუშაოთ „ინტერთან" საშინაო მატჩისთვის, რომლის შემდეგ ისევ კვიპროსში გველის შეხვედრა „ვერდერთან". საკუთარი კედლები დიდი პლუსია და ვფიქრობ, გულშემატკივრის ფაქტორი ჯგუფიდან გასვლაში დაგვეხმარება...

...კვიპროსზე არასოდეს ითამაშებენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც „ინტერს" ჰყავს, მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი ძალის გუნდთან შეგვიძლია თამაში. ახლა 4 ქულა გვაქვს, რაც შესაძლოა, მესამე ადგილზე გასასვლელადაც არ გვეყოს, მაგრამ მომდევნო მატჩებს იმედიანად ვუყურებ. მადლობა გულშემატკივრებს: კვიპროსიდან 2 000 ფანი ჩამოვიდა მილანში და მათ მხარდაჭერას ვგრძნობდით".

**ილია ნანოგაშვილი**

# სეპარატისტული დოლმატოვი

რუსული „როსტოვის" თავკაცი ოლეგ დოლმატოვი აფხაზეთის ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

დოლმატოვი გასული საუკუნის 80--90-იანი წლებში სოხუმის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი იყო.

„სპორტ-ექსპრესის" ცნობით, მას პრიზი ჯერ კიდევ 1995 წელს უნდა მიეღო, მაგრამ მიზეზთა გამო, ეს ვერ მოხერხდა.

დოლმატოვი როსტოვიდან სოხუმში ჩავიდა და მას პრიზი აფხაზეთის სეპარატისტული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ, ვალერი ბარციცმა გადასცა.

გაიმართა აფხაზ და რუს ვეტერან ფეხბურთელთა ამხანაგური შეხვედრაც, რომელიც 3:3 დასრულდა.

**კახა შალამბერიძე**

# იაშვილი გადის, კარლსრუე აგებს



ამ სეზონში უკვე მესამედ ხდება, რომ ალექსანდრე იაშვილის მინდვრიდან გასვლის შემდეგ „კარლსრუეს" წაღმა წასული საქმე უკუღმა უტრიალდება.

ამჯერადაც, ბუნდესლიგის გადადებულ მატჩში „კარლსრუემ" სტუმრად „აინტრახტთან" 1:2 დათმო, არადა, სანამ იაშვილი თამაშობდა, 0:0 იყო. ჩვენიანი 57-ე წუთზე ანდრეა' გიორლიცმა შეცვალა.

საინტერესოა, რომ „იაშკას" გუნდი 82-ე წუთზე დაწინაურდა, მაგრამ დარჩენილ წუთებში ორი გაუშვა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ქოქიაშვილმა ბაქილი დატოვა

აზერბაიჯანული „ბაქილის" ნახევარმცველმა დავით ქოქიაშვილმა გუნდი დატოვა. ოფიციალურ მიზეზად ის სახელდება, რომ ქოქიაშვილს თურმე სამი თვის ხელფასი არ აუღია.

ეს ის „ბაქილია", რომლის ქართველ ლეგიონერებს გუნდის აზერბაიჯანელ ფეხბურთელებთან ჩხუბი მოუვიდათ — ოთხი დღის წინ „სიმურგთან" შეხვედრის მერე.

**ილია ნანოგაშვილი**

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 7 ტური



# როცა საპატიო დამსწრე გაფხიზლდება...

**ამასწინათ** საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა გვითხრა, ხომ ნახეთ, რამდენად წაადგა უმაღლეს ლიგას გუნდების შემცირება, ლამის ყველა თამაში ისე მიმდინარეობს, ბოლო წუთამდე არ იცი, რა შედეგით დასრულდებაო.

მართლაც ასეა და მეტი ფიცი-მტკიცი რაღად უნდა — აგერ, რუსთავის „ოლიმპი“ ბოლო საფეხურზეა. არადა, ქვემოქართლელებს ბევრი ცხრილის საპირისპირო ადგილს უწინასწარმეტყველებდა.

„ოლიმპის“ ნაბოლარობა იმის მანიშნებელია, რომ ჩემპიონატში დაძაბულობაა, ყველა გუნდი კბილებით იბრძვის და აღარ არიან ისეთები, ცალი ფეხით რომ მოუგებ. „დინამო“ რომ „დინამოა“, ექვს ტურში სამჯერ დამარცხდა.

გუნდების რაოდენობის შემცირებასთან ერთად, წლევანდელი ჩემპიონატი ექტორ რაულ კუპერისა და მისი თანაშემწეების მატჩებზე დასწრებამაც დაალამაზათა — ეს ჩვენი აზრია და ბევრ ფეხბურთელსაც უთქვამს, მათ თვალწინ თამაშისას სტიული გვემატებაო.

ეს საშუალო სკოლის გამოცდასავითაა: ყველა ჩვენგანს გვახსოვს, რომ გვეტყოდნენ, გამოცდას საპატიო დამსწრე უნდა ჰყოლოდა, უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით.

რაც აქამდე ვთქვით, ზოგადი თემაა, ახლა კი დღეს-ხვალ გასამართ ტურზე დავკონკრეტდეთ...

სანამ ჩემპიონატი დაიწყებოდა, ზუგდიდის „მგლებს“ გავარდნის მთავარ კანდიდატად თვლიდნენ, ან კი, რა უნდა გეფიქრა გუნდზე, რომელმაც პირველლიგელ „ბაიასთან“ თასზე 0:5 წააგო. თუმცა დაიწყო სეზონი და, „მგლები“ 12 ქულით მეორე ადგილზეა და ეჭვი გვაქვს, დღესაც ნერვებს დააწყვეტს ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტ „ზესტაფონს“.

მოკლედ, დღეს ყველაზე საინტერესო თამაში ფეროს ქალაქში გველის.

„დინამოსი“ არ იყოს, თემურ მახარაძის გუნდიც ამუხრუჭებს, ოდენ სამი გოლი გაუტანია და ბლომად ქულები გაუფანტავს — გოლების სიმცირე მართლაც რომ გასაკვირია გუნდისთვის, რომელსაც ბექა გოცირიძე, ნიკა გელაშვილი, ერიკ რომეო ჩასემი და ზურაბ იონანიძე ჰყავს. შემადგენლობას რომ თავი დავანებოთ, „ზესტაფონისა“ და „მგლების“ ფინანსური პირობების შედარებაც უხერხულია — რამდენადაც ვიცით, ზუგდიდელებს საკმაოდ უჭირთ, მაინცდამაინც არც იდეალური სავარჯიშო პირობებით არიან განებივრებულნი და ხელფასპრემიებიც ცოტა აქვთ. სამაგიეროდ, ჰყავთ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი, კერძოდ, მეკარე ზურაბ მამალაძე, ასაკოვანი ვალტერ გუჩუა და გია თოდუა, რომელიც ბომბარდირთა დავას ლიდერობს.

ცნობისთვის, ამ გუნდების შარშანდელი ზესტაფონური მატჩი მასპინძლებმა იონანიძის ბოლო წუთებზე გატანილი გოლებით მოიგეს — 2:0.

დღეს კიდევ ერთი ისეთი მატჩია, მასპინძლებს უსიტყვოდ გამარჯვება რომ სჭირდებათ: „ოლიმპი“ ერთადერთი მოგებაუნახავი გუნდია და შინ „ბორჯომს“ ხვდება, სადაც რუსთაველთა ძველ-ახალი მწვრთნელის, ვარლამ კილასონიას ხელმეორე დებიუტიც შედგება.

გია მეგრელაძე, კოკა მიკუჩაძე, გოგი ფიფია, გიორგი ფეიქრიშვილი — ეს ფეხბურთელები ამ სეზონამდე არასოდეს უჩიოდნენ უშედეგობას და ეგებ, სწორედ დღეიდან დაიწყონ ხელობის გახსენება.

ცხინვალის „სპარტაკმა“ წინა ტურში პირველი მოგება იზეიმა და მეორედ „სიონთან“ შეეცდება გახარებას. ბოლნისელებს ფერიანი შემადგენლობა ჰყავთ, თუმც საკადრის შედეგს ვერ აჩვენებენ — ისე, რა სჭირთ ქვემოქართლურ კლუბებს, მართლაც საინტერესოა...

სხვა „სიკეთესთან“ ერთად, „სიონს“ დღეს ოთარ კორღალიძე და გიორგი ყიფშიძე ვერ გაუძღვებიან — მწვრთნელსა და მის თანაშემწეს დისკვალიფიკაცია აქვთ...

ხვალ რა ხდება?

სავარაუდოდ, „ლოკომოტივი“ „გაგრას“ მოუგებს.

როგორც ჩანს, ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა პირველ ტურებში აჩვენა თავისი მაქსიმუმი და, რაკილა ბოლოს აშკარად მოუკლო, მაინც საინტერესო გუნდია.

ვაკელთა გამოცდილი ფეხბურთელები ახალგაზრდული „გაგრას“ წინააღმდეგ.

პროგნოზი რომ ვთქვათ, სიტყვა „სავარაუდოდ“ ვახსენეთ. ასე რომ, სულაც არ გვგონია, რომ დამაჯერებელი „ერთიანია“ (ეს ტოტალიზატორის ენაზე რომ ვთქვათ)...

ლიდერი „ვიტ ჯორჯია“ ბორჯომში „მესხეთს“ სტუმრობს და ნამდვილად არ ელის იოლი გასეირნება. კობა თედიაშვილის „მესხეთი“ სიმპათიური გუნდია — მოკლე სკამის პრობლემა აქვს, მაგრამ, ვინც ჰყავს, ჯიგრიანად თამაშობენ და სხვანაირად „ზესტაფონს“ სტუმრად ვერც მოუგებდნენ.

კარგია, რომ სწორედ ამ თამაშის პირდაპირ ტელერეპორტაჟს იხილავს გულშემატკივარი...

ტურს თბილისის „დინამო“ ტოვებს და არ არის გამორიცხული, ერთბაშად სამი საფეხურით ჩამოქვეითდეს...

და ერთიც, ვისურვებდით, რომ ამ ხუთ მატჩს მეხუთე ტურის წყალი არ გადაესხას და ექსცესების გარეშე ჩაიაროს, თორემ ჩხუბ-ალიაქოთს ვერც გუნდების შემცირება უშველის და ვერც ექტორ რაულ კუპერის სტადიონზე მისვლა...

**ილია ნანობაშვილი**

გორი. 24 ოქტომბერი. 15 საათი. ძართლი

### სპარტაკი — სიონი

მსაჯები: მ. ურუშაძე, ს. სპიცინი, ზ. ბერულავა, გ. დოგრაშვილი

ზესტაფონი. 24 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — მგლები

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, დ. კურტანიძე, დ. სანოძე, გ. ვადაჭკორია

რუსთავი. 24 ოქტომბერი. 15 საათი. ფოლადი

### ოლიმპი — ბორჯომი

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, ა. ნონიკაშვილი

თბილისი. 25 ოქტომბერი. 15 საათი. მ. მესხი

### ლოკომოტივი — გაგრა

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, კ. გუდურაშვილი, გ. ყრუაშვილი, ი. ურუშაძე

ბორჯომი. 25 ოქტომბერი. 14 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

### მესხეთი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, დ. კვეტენაძე, ზ. ხუციშვილი, ვ. გუმბერიძე

**დისკვალიფიცირებულნი:**

„სიონი“: ოთარ კორღალიძე (მწვრთნელი), გიორგი ყიფშიძე (მწვრთნელი), რევაზ ქემოკლიძე

„ლოკომოტივი“: ზვიად ჩხეტიანი

„ზესტაფონი“: უჩა ლობჟანიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 13 |
| მგლები | 6 | 4 | 0 | 2 | 10:5 | 12 |
| ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | 7:2 | 12 |
| დინამო | 6 | 3 | 0 | 3 | 10:7 | 9 |
| ზესტაფონი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 7 |
| გაგრა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| ბორჯომი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| სიონი | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 6 |
| მესხეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| სპარტაკი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| ოლიმპი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |

# ვინმემ გააჩუმეთ სულელი



ალან შირერი

**ძალიან** საინტერესო მოსაზრებას გადავწყდით „დეილი მეილში“: ალან შირერი შესაძლოა დიდი ფიგურაა და ნიუკასლელთათვის ლეგენდადაც კი ითვლება, მაგრამ მწვრთნელობაზე ლაპარაკს თავს თუ დაანებეს, ძალიან კარგს იზამსო. ამის მერე კიდევ უფრო მოურიდებლად ეწერა, ყოფილმა თავდამსხმელმა მიმომხილველად მუშაობისას იმდენი სისულელე თქვა, რომ ამ სისულელეების ავტორი, წესით, მწვრთნელობაზე სიტყვას არ უნდა ძრავდესო.

ციტატა: „შესაბამისი უნარის რაიმენაირი დამტკიცების გარეშე, იმის დაჟინებული გამეორება, რომ ის ერთ დღეს სიამოვნებით გახდებოდა მწვრთნელი, სრული უაზრობაა და ამხელა კაცს უჭკუოდ წარმოაჩენს.

არცთუ შორეული წარსულის ინგლისელი გოლდამშენი კი ამდენი „სულელისა“ და „უჭკუოს“ ძახილს არად დაგიდევთ და კვლავ აცხადებს, რომ მწვრთნელობა ძალიან სურს და მომავალში არაფერი არ არის გამორიცხული. ერთი სიტყვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ შირერი თავს ვერ ერევა.“

ლეგენდა შირერის შესაძლო კარგ მწვრთნელობაზე სათავეს 2001 წელს იღებს, როდესაც „ნიუკასლ იუნაიტედის“ მაშინდელმა თავმჯდომარემ, ფრედი შეპერდმა განაცხადა, რომ ფორვარდი გუნდის მომავალ თავკაცად წარმოუდგენია. „დეილი მეილი“ გალიზიანებულია იმითაც, რომ ცნობილმა ინგლისელმა მწვრთნელმა სერ ბობი რობსონმა ერთი კვირის წინანდელ ინტერვიუში ამ ლეგენდის წინააღმდეგ კი არ გაილაშქრა, პირიქით, უფრო გააღვივა ის. არადა, ფაქტი ფაქტად რჩება: კაცს, რომელსაც ფეხბურთი უკვე ორწელიწადნახევარია აღარ უთამაშია, ჯერ უეფას პრო-ლიცენზიაც კი ვერ მოუპოვებია, ამ ლიცენზიის გარეშე კი პრემიერლიგის გუნდს არავინ მიაკარებს (არადა, თავად შირერი დარწმუნებულია, რომ სწორედ პრემიერლიგაში უნდა იმუშაოს).

ისევ ციტატა: „ის ამბობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მწვრთნელობას შეუდგება, მაგრამ ვერ გაუგია, რატომ არ უნდა შეუთავსოს ეს საქმე ტახტზე წამოწოლასა და გატკეპნილი წინადადებებით ერის იქიდან მომარაგებას“.

„დეილი მეილი“ ამბობს, რომ როგორც ჩანს, ამ ხნის განმავლობაში შირერს მართლა ჰქონდა რამდენიმე შეთავაზება, რომლებზეც მან უარი განაცხადა და ეს უარი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ის სულელია. კერძოდ, როდესაც გრემ სუნესი, არც მეტი არც ნაკლები, „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელის თანამდებობიდან წავიდა, შირერმა პირველად მაშინ თქვა თანამდებობაზე უარი. შემდეგ იყო და, 2006 წელს მას ინგლისის ნაკრების მწვრთნელთა ბანაკში სთავაზობდნენ ყოფნას, რაზეც მან ასევე უარი განაცხადა. შემდეგ, შირერს სემ ალარდაისის გადადგომის მერე ჰქონდა ისევ „ნიუკასლის“ გაწვრთნის შანსი, ბოლოს კი კევინ კიგანმა შესთავაზა თანამშრომლობა. მისი პასუხი ერთი და იგივე იყო: გაურკვეველი უარი.

და ბოლო ციტატა: „ჰოდა, ამქვეყნად ყველას ხათრით, ვინმემ გააჩუმეთ ეს კაცი.“

**პაპუნა ძედია**



# რაფას უნდა სამი გოლი

**რაფა ბენიტესმა** აღიარა, რომ „ლივერპული“ პრემიერლიგის მოსაგებად მზად არ არის. ეს ამბავი „ენფილდ როუდის“ ბოსმა მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ჩემპიონთა ლიგის D ჯგუფის თამაშამდე თქვა, ჟურნალისტებმა კი ყურები ცქვიტეს — ბენიტესი, ლიგის წინა დღეს, „ჩელსისთან“ შაბათის თამაშზე აშკარად უფრო მეტს ფიქრობდა.

შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ მერსისაიდელების ესპანელ მწვრთნელს ძალიან სურს თავის CV-ს ინგლისის ჩემპიონის ტიტული შემატოს — მოგეხსენებათ, ბენიტესის ხელში „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგაში უკვე გაიმარჯვა. ჯერჯერობით, ინგლისის პირველობაზე მისი საუკეთესო შედეგი მესამე ადგილია, რაც ამბიციურ სპეციალისტს რასაკვირველია, არ აკმაყოფილებს, მაგრამ კითხვაზე, როდის ჩამოიტოვებს „მანჩესტერ იუნაიტედს“, „არსენალს“ და „ჩელსის“, მან უპასუხა: „ჯერ საამისოდ მზად არ ვართ“.

„პრემიერლიგის სეზონი ძალიან გრძელია. ამჯერად ჩვენ რთული, კონკრეტული ამოცანის წინაშე ვდგავართ, შაბათს „ჩელსის“ ვეთამაშებით. ეს შეხვედრა გვაჩვენებს, რას უნდა მივეზომოთ მომავალში. იმისთვის, რომ პრემიერლიგის ჩემპიონი გახდე, უშუალო კონკურენტებს უნდა აჯობო. სამწუხაროდ, წინა სეზონში ჩვენ სწორედ ეს ვერ შევძელით“.

ერთი სიტყვით, შაბათს მნიშვნელოვანი მატჩია. მერსისაიდელებმა იმ „სტემფორდ ბრიჯზე“ უნდა ითამაშონ, რომელზეც „ჩელსის“ — ნუ გაგიკვირდებათ და — დაახლოებით ოთხწელიწად-ნახევარია პრემიერლიგის თამაში არ წაუგია. რაც შეეხება ქულების დაკარგვას, აქ უფრო თამამად შეიძლება სუნთქვა: მაგალითად, გასულ სეზონში ლონდონიდან ქულა „მანჩესტერ იუნაიტედმაც“ წაიღო და აუტსაიდერმა „ტოტენჰემ ჰოთსპურმაც“.

საერთოდ, „ლივერპული“ ცნობილია, როგორც გუნდი, რომელიც თამაშს მძიმედ იწყებს, მაგრამ, ბოლო პერიოდში მან მაინც შეიძინა გარკვეული მოქნილობა — „მიდლსბროსთან“, „მანჩესტერ სიტისთან“ და „უიგანთან“ თავიდან აგებდა, მაგრამ საბოლოოდ მოიგო.

ბენიტესმა დასძინა: „რად უნდა ლაპარაკი, რომ თუ „ჩელსი“ ანგარიშს გახსნის, ჩვენი მდგომარეობა დამძიმდება, მაგრამ, „მანჩესტერ სიტისა“ და „უიგანთან“ თამაშების დავიწყება და სწორი დასკვნების უგულველყოფაც არ შეიძლება. მეორე მხრივ კი, თუ ასე გაგრძელდა, ექიმის დახმარება დამჭირდება. ამდენ ჩამორჩენებსა და თამაშის შემოტრიალებებს ველარ გავუძლებ. აი, საუცხოო იქნება, შესვენებამდე ორი ან სამი გოლი რომ გავიტანოთ. მაშინ ჩვენი ქომაგები დიდ სიამოვნებას მიიღებდნენ“.

ახლა, რაც შეეხება პრობლემებს: ფერნანდო ტორესი და დირკ კუიტი დაშავებულები არიან.

ბენიტესი: „დირკმა, „მანჩესტერ სიტისთან“ და „უიგანთან“ საუცხოოდ ითამაშა. ამბობენ, რომ მას პრემიერლიგაში იშვიათად გააქვს, მაგრამ მან „უიგანს“ ორჯერ გაუტანა, ასე რომ, ამ კრიტიკას მე ვერ გავიზიარებ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დირკს შეტევის ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში. მან ეს დაამტკიცა.

ამ სეზონში ყველაზე დიდი დარტყმა მცველის, მარტინ შკრტელის დაშავებამ მოგვაყენა, თუმცა ამ სეზონში შარშანდელთან შედარებით მაინც უკეთეს დღეში ვართ, რადგან სემი ჰიიპია გამოჯანმრთელდა და აგერიც ჩვენს განკარგულებაშია“.

**პაპუნა ძედია**

# გლოვა ტაძარში

**ლეგენდარული** თავმჯდომარე ედი თომპსონი, მისმა „დანდი იუნაიტედმა“ და გუნდის ასეულობით ქომაგმა ოთხშაბათს უკანასკნელ გზაზე გააცილა. დამწუხრებულ ფანთაგან ბევრს ნარინჯისფერი სამოსი ეცვა. ეს ადამიანები დანდის სიახლოვეს მდებარე პატარა ქალაქ ბრაუტი ფერიში წმინდა მარიამის საეპისკოპოსო ტაძრის გარეთ შეიკრიბნენ, რათა საყვარელ ედის ემოციურად გამოთხოვებოდნენ.

გამოსათხოვარი სიტყვა კლუბის შეფმა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთდროულად მწვრთნელმა და საფეხბურთო დირექტორმა კრეიგ ლივეინმა წარმოთქვა. მან ბრძანა:

„ის ფეხბურთელი რომ ყოფილიყო, უკლებლივ ყოველ შეხვედრაში შემადგენლობის დასახელებას მისით დავიწყებდი“.

თომპსონის ოჯახის წევრთაგან ტაძარში იყვნენ მეუღლე ქეთი, ვაჟი სტივენი და ქალიშვილი ჯასტინი. იყვნენ სხვა ნათესავებიც. პროსტატის ჯირკვლის კიბოთი გარდაცვლილი 68 წლის დიდი თავმჯდომარისთვის პატივის მიგებისას ცრემლი ვერც ტელეწამყვანმა ლორან კელიმ და პროცესიის სხვა მონაწილეებმა შეიკავეს. ლივეინმა მას უწოდა ყველაზე გატაცებული ადამიანი მათ შორის, ვინც კი ოდესმე შეხვედრია.

„ერთხელაც არ ჩამომჯდარა ისე, რომ ერთ წამში კვლავ არ წამომხტარიყო და ენერგიულად არ ეთქვა რამ. ის გახლდათ საოცრად შრომისუნარიანი და თავდადებული ადამიანი. სამსახურში ყველაზე ადრე მიდიოდა და ყველაზე გვიან ტოვებდა ოფისს. ასე ითხოვდა სხვებისგანაც, მაგრამ ამით არავის აწუხებდა. პირიქით, მის შემყურეთ, ეს ცეცხლი უნებურად გადაედებოდათ, რადგან იგი საოცარი პროფესიონალი და ლიდერი იყო“.

როგორც ბიზნესმენი, ედი თომპსონი გამომცემელი გახლდათ. ის „დანდი იუნაიტედის“ თავმჯდომარეობიდან 2002 წელს გადადგა, თავისი გაზეთი, „მონინგ ნუნ ენდ ნაითი“ კი ორი წლის შემდეგ 30 მილიონ გირვანქად გაყიდა.

ტრაგიკულია ისიც, რომ თომპსონი გარდაიცვალა მისი სიძის, კენეტ მიჩელის მოტოციკლეტის ავარიაში დაღუპვიდან სამი დღის შემდეგ.

**პაპუნა ძედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯოჯოხეთიდან დაბრუნებული





**ინგლისური** საფეხბურთო სამყაროს ცუდი ბიჭი ჯოი ბარტონი ეჭვობს, რომ ფანების ნაწილი მის სკვდილს ნატრობს. ფეხბურთელმა, რომელიც დღეს „ნიუკასლ იუნაიტედში“ თამაშობს, „მანჩესტერ სიტის“ დროინდელი თანაგუნდელის, უსმან დაბოს დაუნდობლად ცემისთვის გვარიანი სიმწარე უკვე ნახა, თუმცა თავადვე კარგად ესმის, რომ, მისდა სამწუხაროდ, ამით ყველაფერი არ ამოწურულა.

„ცუდი რეპუტაცია მთელი ცხოვრების განმავლობაში თან რომ გამყვება, რად უნდა ლაპარაკი — თქვა ფეხბურთელმა მოულოდნელად გულწრფელ ინტერვიუში, რომელიც გუშინ ყველა ინგლისურმა გაზეთმა გამოაქვეყნა — ბევრი კი, ალბათ, ნატრობს, რომ მალე მოვკვდე“.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ადამიანი იმედით ცოცხლობს და ბარტონიც გულის სიღრმეში ფიქრობს, რომ თუ სასმელს აღარ გაეკარება, ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, ბავშვებისთვის დევიდ ბექჰემივით სამაგალითო გახდეს.

რატომ წამოიწია ბარტონის თემამ, იოლი მისახვედრია: დისკვალიფიკაციის ექვსი თვე გავიდა და შაბათს ის მოედანს უბრუნდება.

და მაინც, რამ ჩაადენინა ის გიჟური საქციელი?

როგორც თავად ამბობს, განა მხოლოდ უსმან დაბოს შემთხვევაში, ზოგადადაც, მის ყველა უბედურებაში, ალკოჰოლზე მეტი ბრალი უჭკუობას მიუძღვის. როგორც მოედანზე, ასევე ცხოვრებაში, აგრესიული ქცევა უგუნურობის შედეგი იყო. აბა, სხვას რას უნდა დააბრალოს გასული წლის დეკემბერში, ლივერპულის „მაკდონალდსში“ 16 წლის ბიჭის ცემა, რის გამოც საპატიმროში ამოჰყო თავი? და ახლა, როდესაც ექვსთვიანი პატიმრობიდან 74 დღე უკვე მოიხადა, ბარტონი მისებრ გაჭირვებული და გზასაცდენილი ბიჭებისთვის მაგალითის მიცემაზე ალაპარაკდა.

„სარბიელი“ წერდა, რომ ბარტონმა სასჯელი ნაგვის გასატანი ურიკით, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის კეთებაში მოიხადა და იმავდროულად, ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, ტონი ადამსის მიერ დაარსებულ „სპორტული შანსის კლინიკაში“ ფსიქოთერაპიასაც გადიოდა.

„ადამიანს ისე არაფერი აფხიზლებს, როგორც ციხის სინამდვილე — თქვა „ნიუკასლის“ მიერ თავის დროზე 5,8 მილიონ გირვანქად ნაყიდმა ხულიგანმა ვარსკვლავმა — ახლა მადლობელი ვარ, ცხოვრების შეცვლის შანსი რომ მომეცა. ამიერიდან, თავი უნდა ჩავხარო და ჩემი სათქმელი ფეხბურთით ვთქვა. სამწუხაროდ, ამქვეყნად ყველას კმაყოფილს ვერავინ დატოვებს, მე კი ჩვეულებრივ ადამიანებთან შედარებით გაცილებით მეტი გავანაწყენე და განვარისხე. მერედა, ქუჩაში თუ ციხეში ერთი ძალიან ცუდი რამ შევნიშნე: ბიჭები უმალ ჩემნაირ ხალხს ბაძავენ, ვიდრე დევიდ ბექჰემის ან მაიკლ ოუენის მსგავს უბადლო პროფესიონალებსა და უმწიკვლო პიროვნებებს.

მერწმუნეთ, რასაც ვამბობ, გულწრფელად ვამბობ, რადგან ეს ყველაფერი ჩემი გამოცდილებიდან მოდის. ზუსტად ვიცი რა გამიფუჭება ამ ცხოვრებაში და რისი გამოსწორება მინდა. იმედი მაქვს, იმ ხალხის გულებსაც მივაღწევ, რომლებიც დღეს მიუწვდომელნი ჩანან“.

შემდეგ ბარტონმა დასძინა: „ციხე ჩემი ცხოვრების სასიამოვნო გამოცდილება ნამდვილად არ ყოფილა. იმედი მაქვს, ხალხი ჩემს მაგალითზე დაინახავს, რა შეცდომებიც შეიძლება დაუშვან ცხოვრებაში და მათ რაოდენობას შეამცირებენ მაინც“.

ფეხბურთელის ასეთმა ინტერვიუმ და პოზიციამ ძალიან გააბრაზა ის გულშემატკივრები, რომლებიც ისედაც განრისხებულნი იყვნენ, ხულიგანს ფეხბურთის თამაში საერთოდ რომ არ აუკრძალეს. მართლაც, როგორია, სხვებისთვის მაგალითის მიცემაზე ლაპარაკობდეს ადამიანი (სხვათა შორის, მისი ნიუკასლური გასამრჯელო კვირაში 63 ათასი გირვანქაა), რომელმაც ზემოხსენებულ 16 წლის ბიჭს (თავად 26 წლისაა), „მაკდონალდსში“, სულ მცირე, ოცჯერ დაარტყა და კბილები ჩაუმტვრია, შემდეგ კი, ციხის საკანში ტიროდა. მაგრამ „ნიუკასლ იუნაიტედს“ მასში, როგორც გითხარით, 5,8 მილიონი გირვანქა აქვს გადახდილი და ზარალში დარჩენა არ სურს — ისე, უბრალოდ, მისი დასჯის მიზნით გაგდება, მაიკ ეშლისთვის გაუგებარი საქციელია. გარდა ამისა, „კაჭკაჭების“ წინა მწვრთნელი კევინ კიგანი ბარტონს, როგორც ფეხბურთელს, ფრიად მფარველობდა.

დაბოლოს, რაც შეეხება დალევას:

„ნამდვილად არ მინდა, სმა გამართლებად მოვიტანო, მაგრამ, ჩემი ცხოვრების არევაში ალკოჰოლს დიდი ადგილი უკავია — თქვა ჯოიმ — და საერთოდ, მთელ კრიტიკას, რაც თავს დამატყდა, თავიდან ბოლომდე ვიმსახურებ და თავის გამართლებას სულაც არ ვცდილობ. ჩემი ცხოვრების ბოლო 18 თვეს ჯოჯოხეთს დავარქმევდი“

**პაპუნა ძიდია**



# აქტუალური ზაქი

**ამრ ზაქი** წლევანდელი პრემიერლიგის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენაა. „უიგან ატლეტიკის“ ეგვიპტელმა ფორვარდმა ინგლისის პირველობის 8 შეხვედრაში თავი 7 გოლით გამოიჩინა, განსაკუთრებით ლამაზი კი მისი ბოლო გოლი გამოდგა, რომელც ვარდნაში, მაკრატელათი თვით „ლივერპულის“ კარში გაიტანა.

რა თქმა უნდა, ამრ ჰასან ზაქის შეძენის სურვილი უკვე რამდენიმე ევროპულმა გრანდმა გამოთქვა. მერსისაიდელთა დაინტერესების შესახებ „სარბიელმა“ უკვე გიამბოთ, ახლა კი ირკვევა, რომ 25 წლის ეგვიპტელს თვალი მადრიდის „რეალმაც“ დაადგა. „სამეფო კლუბის“ სკაუტები პრემიერლიგაში ზაქის თამაშს ამიერიდან უფრო დაწვრილებით დააკვირდებიან.

უიგანელთა მთავარი მწვრთნელი სტივ ბრიუსი კი იმას ნანობს, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ თავდამსხმელის ბოლომდე გამოსყიდვა აქამდე ვერ მოახერხა. ზაქიზე სატრანსფერო უფლებები ეგვიპტურ „ზამალექს“ ეკუთვნის, რომელშიც ფეხბურთელი 2006-08 წლებში გამოდიოდა და 54 შეხვედრაში 22 გოლის გატანა შეძლო, „JJB სთედიუმზე“ კი ფორვარდი იჯარით არის და, კონტრაქტის მიხედვით, აქ 2009 წლის ივნისამდე უნდა დარჩეს.

მიუხედავად იმისა, რომ ზაქით „ლივერპულისა“ და „რეალის“ დარი ბობოლები დაინტერესდნენ, ბრიუსი „უიგანში“ მისი დატოვების იმედს არ კარგავს:

„ფაქტია, რომ ზაქი ჩვენთან იჯარის წესით ივნისამდე დარჩება. უახლოეს მომავალში „ზამალექთან“ მოლაპარაკებას წამოვიწყებთ და შევეცდებით, კლუბიცა და მოთამაშეც ჩვენთან კონტრაქტის გაფორმებაზე დავიყოლიოთ. რა თქმა უნდა, დასანანია, რომ მოვლენების ასეთი განვითარება ვერ ვიწინასწარმეტყველეთ და ხელშეკრულების დადებაზე აქამდე არ ვიზრუნეთ, მაგრამ ვფიქრობ, ფინანსურ საკითხებს მოვაგვარებთ და ზაქი საბოლოოდ ჩვენთან დარჩება“ — ოპტიმისტურად არის განწყობილი „უიგანის“ დამრიგებელი.

**არჩილ ძოგახიძე**

## ვაზ ტეს ბოლტონი სძულს

**„ბოლტონ უონდერერსის“** თავდამსხმელ რიკარდუ ვაზ ტეს კლუბის დატოვება სურს. პორტუგალიელი ფეხბურთელით ჩემპიონლიგის „ბარნსლი“ დაინტერესდა. თანაც ამ სეზონში ვაზ ტემ „ბოლტონში“ მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა.

„ვცდილობ, რაც შეიძლება ბევრ თამაშში მივიღო მონაწილეობა, მაგრამ ეს თუ არ გამომდის, მაშინ კლუბის შეცვლა აუცილებელი ხდება. იქ წავალ, სადაც მინდორზე გასვლას რეგულარულად შევძლებ. ვფიქრობ, უსამართლობა იქნება, თუ „ბარნსლიში“ გადასვლას დამიშლიან. „ბოლტონი“ მძულს, რადგან აქ სათადარიგოთა სკამზე ჯომა მიხდება და ამ კლუბის მაისურით მოედანზე გასვლის სურვილიც აღარ მაქვს“ — აღნიშნა განრისხებულმა პორტუგალიელმა.

## დი მარიასა და იებდას შავ-ლურჯები აკვირდებიან

**წესით** და რიგით, უეფას თასის გუშინდელ მატჩს „ჰერტასა“ და „ბენფიკას“ შორის, მილანის „ინტერის“ დამკვირვებელი უნდა დასწრებოდა. ამ შეხვედრაზე „ნერაძურის“ სკაუტი ლისაბონელთა ნახევარმცველებზე, არგენტინელ ანხელ დი მარიასა და ფრანგ ჰასანა იებდაზე დაკვირვების მიზნით მიავლინეს. გავრცელებული ინფორმაციით, მილანური გრანდი „ლომებს“ ამ ორი ფეხბურთელის თაობაზე უკვე შეუთანხმდა. რა თქმა უნდა, ტრანსფერები ზამთარში შედგება და „ინტერს“, სავარაუდოდ, 30 მილიონი ევრო დაუჯდება.

## კურბისი ვირის აბანოში

**ფრანგული** სასამართლოს განაჩენით, „მონპელიეს“ მთავარი მწვრთნელი როლან კურბისი უახლოეს ორ წელიწადს ციხეში გაატარებს. ფრანგ სპეციალისტს, რომელსაც ადრე „მარსელში“, „ბორდოში“, „ტულუზში“, „ლანსში“, „აიაჩოში“, რუსულ „ალანიასა“ და არაბულ „ალ ვაჰდაში“ უმუშავია, მარსელელთა სათავეში მოღვაწეობის პერიოდში, ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვისას სხვადასხვა ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულეს.

**არჩილ ძოგახიძე**

# ინტერმა დელასი ვერ მოხიბლა

**კვიპროსული** „ანორთოსისის“ მცველი ტრაიანოს დელასი აცხადებს, რომ ოთხშაბათს, „ინტერი“— „ანორთოსისის“ მატჩში, „ნერაძურის“ ფეხბურთელებისგან უკეთეს თამაშს ელოდა. მიუხედავად იტალიურ გუნდთან დამარცხებისა, ბერძენი ფეხბურთელი მაინც ვერ მოიხიბლა „ინტერის“ თამაშით.

„მათ ჰყავთ დიდებული გუნდი, რომელშიც ბევრი წარმატებული ფეხბურთელი ირიცხება, მაგრამ ჩვენ შეგვეძლო, „ინტერთან“ კარი მშრალად შეგვენახა, თუმცა მილანელებს შანსი მივეცით, რომელიც მათ მშვენივრად გამოიყენეს. მეორე წრეში ჩვენ შეგვიძლია, წაუგებლად ვითამაშოთ და ბევრი ქულა დავაგროვოთ. პლეი ოფში მოხვედრის კარგი შანსი გვაქვს“ — განაცხადა დელასმა.

ევროპის ექსჩემპიონმა ბერძენმა ასევე ისაუბრა ყოფილ კლუბზეც, იტალიურ „რომაზე“, რომელშიც სამი სეზონი გაატარა. „რომას“ საკმაოდ რთული პერიოდი აქვს, მაგრამ ვთვლი, რომ „ჯალოროსი“ დიდებული კლუბია. მიუხედავად ბოლო წლებში კარგი თამაშისა, კლუბი მაინც კრიზისშია. ვფიქრობ, „რომას“ ამ კრიზისიდან გამოსვლა შეუძლია, რაშიც ფანები უნდა დაეხმარონ“ — აღნიშნა ექსრომაელმა ტრაიანოს დელასმა.

**გაგა ლობჟანიძე**



ტრაიანოს დელასმა (მარცხნივ) სამი წაუგებული ჩაიფიქრა

# ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. III ტური

### A ჯგუფი

# კლუჟმა კლუჟთან წააგო

**ბორდო 1:0 კლუჟი**

1:0 კადუ (54ს.კ.)
ბორდო: რამე, დიარა, ფერნანდუ, ობერტანი (ბუფრანი 61), პლანიუ, შურიეტი, დიავარა, შალმე, გურკუფი, ბელიონი (ვენდელი 61), შამახი
მწვრთნელი: ლორან ბლანი
კლუჟი: სტენჩოიუ, ტონი, კადუ, დე სოუზა, მურეშანი, დუბარბიე (დიდი 75), პერალტა, პერეირა, იუსუფ კონე (ემანუელ კონე 86), ტრიკე, კულიო
მწვრთნელი: მაურიციო ტრომბეტა
გაფრთხილება: რამე, შალმე, შამახი, პერალტა, კადუ, კულიო, ტრიკე, მურეშანი, ტრიკე
გაძევება: ტრიკე (90)
მსაჯი: ივან ბებეკი (ხორვატია)
24 000 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 რომა**

1:0 ტერი (77)
ჩელსი: ჩეხი, კარვალიუ, ბოსინგვა, ბრიჯი, ტერი, ლამპარდი, მიკელი, მალუდა (ბელეტი 46), დეკუ, კალუ (დი სანტო 77), ანელკა (ფერეირა 90)
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
რომა: დონი, პანუჩი, სისინიუ, მექსესი, რიისე (ტონეტო 82), აკვილანი (პეროტა 61), ტადეი (მენეზი 81), დე როსი, ბრიგი, ვუჩინიჩი, ტონი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: მალუდა, მექსესი, ტერი, პანუჩი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
41 002 მაყურებელი

ლონდონის „ჩელსიმ“ თავისი კაპიტნის, ჯონ ტერის გვიანი თავურით მაინც შეძლო „რომას“ დამარცხება და ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. იტალიელები საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ არიან, მაგრამ მაინც გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდს და შეიძლებოდა სამ ქულასაც კი გამორჩენილიყვნენ, მაგრამ საბოლოოდ ხელცარიელნი დარჩნენ.

პირველ ტაიმში „ჩელსი“ ფაქტობრივად ვერაფერს გახდა. „რომა“ თავს კარგად იცავდა და ხანდახან სახიფათოდაც უტევდა. „სტემფორდ ბრიჯზე“ შეკრებილი ქომაგები უფრო მეორე ნახევარში გახალისდნენ, როცა თამაში შედარებით გაიხსნა. მასპინძლები ფლობდნენ მცირე უპირატესობას და მაინც შეძლეს საწადელის მიღწევა — 77-ე წუთზე ფრენკ ლამპარდმა კარგად ჩააწოდა კუთხური და ტერიმ ბურთი ალეშანდერ დონის კარში გადაგზავნა.

ლუიშ ფელიპე სკოლარი: „ძალიან კარგი, მორიგი სამი ქულა მოვიპოვეთ, რამაც საგრძნობლად წაგვწია წინ. ამის მერე მხოლოდ ერთი საშინაო შეხვედრა გვრჩებოდა, ამიტომ გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. „რომამ“ ძალიან კარგად ითამაშა. როგორც ვთქვი, ისინი ყოველთვის ლამაზი ფეხბურთის ჩვენებას ცდილობენ და პირველ რიგში ამას აქცევენ ყურადღებას, ანგარიშს კი არა. ყველაფერი ერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც შეიძლებოდა, სტუმრებსაც გაეტანათ, მაგრამ ჩვენ გავიტანეთ და მოვიგეთ კიდეც. მართალია, მხოლოდ ერთი გოლი გავიდა, მაგრამ ბრწყინვალე თამაში გამოვიდა და მსგავს შეხვედრას ველოდები რომშიც“.

„ჯგუფიდან გასვლის შანსი კვლავ დიდია. „ჩელსი“ ცოტა წინ არის, მაგრამ მერვედფინალში მოხვედრა ჯერ არც ლონდონელებს აქვთ განაღდებული. მებრძოლი ხასიათი და სული გამოვავლინეთ. გულდაწყვეტილი ვარ, რადგან ბიჭები ბოლომდე დაიხარჯნენ და მართლაც კარგად ითამაშეს, მაგრამ ქულაც ვერ მოვიპოვეთ. „ჩელსი“ სახიფათო მომენტებს მხოლოდ სტანდარტული სიტუაციებიდან ქმნიდა, ასეთ დროს კი ტერი ბრწყინვალეა და თავისი შანსი გამოიყენა კიდეც“ — განაცხადა „რომას“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

რუმინულმა „კლუჟმა“ პირველი მარცხი იწვნია, მაგრამ ჯერჯერობით მეორე ადგილს ინარჩუნებს. არადა, მაურიციო ტრომბეტას შეგირდები მორიგ სიურპრიზთან ახლოს იყვნენ. ისინი ტოლს არაფერში უდებდნენ „ბორდოს“ და ფრანგებზე უფრო მწვავედაც კი გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში.



„ბორდოს“ გამარჯვება იოან გურკუფის აქტიურობის ნაყოფია

ყველაფერი 54-ე წუთზე გადაწყდა, როცა იოან გურკუფის ჩაწოდებულ ბურთს „კლუჟის“ კაპიტანი კადუ უხერხულად შეეხო და საკუთარ კარში გადაგზავნა. ამის მერე სტუმრები ცოტა აირივნენ, მაგრამ გოლი არცერთ კარში აღარ გასულა. ბოლო წუთზე კი ეუგენ ტრიკემ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, მინდვრიდან გააძევეს და მომავალი შეხვედრის გამოტოვებაც მოუწევს.

„ბორდოს“ თავკაცი ლორან ბლანი: „ძალიან გახარებული ვარ შედეგით. კარგია, რომ გოლი არ გავუშვით, ამან ამოცანა გაგვიადვილა და დამსახურებულად ვიმარჯვეთ“.

„ტურნირზე პირველად წავაგეთ, თან მეტოქეს გოლი არ გაუტანია, საკუთარ კარში თავად შევაგდეთ. ფრე უფრო ლოგიკური და სამართლიანი შედეგი იქნებოდა“ — აღნიშნა ტრომბეტამ.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| კლუჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| რომა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ბორდო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |

### B ჯგუფი

# ქეცბაია ანორთოსისით ამაყობს



**ინტერი 1:0 ანორთოსისი**

1:0 ადრიანო (44)
ინტერი: ტოლდო, კორდობა, ძანეტი, მაიკონი, კივუ, სტანკოვიჩი, კამბიასო (ბურდისო 83), მუნტარი, მანსინი (კვარეშმა 63), იბრაჰიმოვიჩი, ადრიანო (კრუსი 83)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ანორთოსისი: ბექაი, კაცავაკისი, ლეივაკაბესი, ოჩოკოლიჩი, კონსტანტინუ, ბარდონი (წიტაიშვილი 75), დელასი, დობრაშინოვიჩი (ფრუსოსი 89), სოსინი (თაპერი 46), ლაბანი, სავიო
მწვრთნელი: თემურ ქეცბაია
გაფრთხილება: კაცავაკისი
მსაჯი: ჰოვარდ ვები (ინგლისი)
32 000 მაყურებელი

**პანათინაიკოსი 2:2 ვერდერი**

0:1 მერტეზაკერი (29), 1:1, 2:1 მანსიოსი (36, 68), 2:2 ალმეიდა (83)
პანათინაიკოსი: ცორვასი, სარიეგი, ვინტრა, მანციოსი (რუკავინა 82), ნილსონი, ჟილბერტუ, გაბრიელი, სიმაუ, სპიროპულოსი (ივანშიცი 46), კარაგუნისი (კლეიტონი 71), სალპინგიდისი
მწვრთნელი: ჰენკ ტენ კატე
ვერდერი: ფანდერი, პასანენი (ბოენიში 80), ნალდო, პრიოდლი, მერტეზაკერი, ბაუმანი, დიეგო, იოზილი, ტრინქსი, ალმეიდა (სანოგო 90), პისარო (როსენბერგი 27)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: კარაგუნისი, სპიროპულოსი, დიეგო, პრიოდლი, სარიეგი, სიმაუ, ივანშიცი
მსაჯი: მაიკლ რაილი (ინგლისი)
60 000 მაყურებელი

თემურ ქეცბაიას „ანორთოსისი“ ყოჩაღად იყო მილანის „სან სიროზე“ და ჟოზე მაურინიუს „ინტერისგან“ ოდენ ერთი გოლი გაუშვა. მართალია, „ნერაძური“ უპირატესობას ფლობდა და მეტის გატანაც შეეძლო, მაგრამ უქმად არც კვიპროსელები ყოფილან და ორიოდე კარგი მომენტი მათაც შექმნეს. ასე რომ, ქეცბაიას და მის შეგირდებს მორიგი სენსაციის შემოთავაზება სავსებით შეეძლოთ.

მატჩის ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა. „ანორთოსისმა“ სულ რამდენიმე წუთი ველარ გაძლო. თავი ადრიანომ გამოიჩინა — ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და დუგლას მაიკონის კომბინაციას ბრაზილიელის ჩაწოდება მოყვა და „იმპერატორმაც“ ახლოდან თავურით იხეირა.

ჟოზე მაურინიუ: „კმაყოფილი ვარ, არ მოვდუნდით და მოვიგეთ. შესაძლოა, საუკეთესო თამაში არ გვიჩვენებია, მაგრამ არა უშავს. არც ის მაღელვებს, რომ მხოლოდ ერთი გოლი გავიტანეთ. ტოლდო ოდენ ერთი რთული ბურთი მოიგერია, ჩვენ კი ბევრი მომენტი შევქმენით და თამაშს ვაკონტროლებდით. ახლა ჯგუფში თავს კომფორტულად ვგრძნობთ“.

„ყოველთვის ძნელია, წაგების მერე შენს ფეხბურთელებზე კარგის თქმა, მაგრამ ამჯერად მინდა ეს გავაკეთო, რადგან „ინტერის“ დარ დიდ და ძლიერ გუნდთან, ძალიან კარგად ვითამაშეთ და დავამტკიცეთ, რომ ხელწამოსაკრავნი არავისთვის ვართ. ახლა დარჩენილი მატჩებისთვის უნდა მოვემზადოთ, შინ ორი შეხვედრა დაგვრჩა და რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა ავიღოთ, რათა საკუთარი ქომაგების თვალწინ გავიდეთ ჯგუფიდან. ეს ბრწყინვალე იქნება, მაგრამ ამისთვის ბევრი შრომაა საჭირო“ — თქვა ქეცბაიამ.

ჯგუფიდან გასასვლელად რეალურად გაბრძოლება თუ სურდა, „პანათინაიკოსს“ შინ აუცილებლად უნდა მოეგო „ვერდერისთვის“, რაც ყველანაირად სცადა, მაგრამ ფრეს გამორჩა. ეს ნიშნავს, რომ ათენელების თუნდაც მეორე საფეხურზე ასვლა მეტად სათუოა, რადგან დარჩენილი სამი მატჩიდან ორი გასვლაზე უწევთ...

ბერძნებმა კარგად დაიწყეს, მაგრამ გოლი „ვერდერმა“ გაიტანა. მესუთ იოზილის ჩაწოდებულის მერე, პერ მერტეზაკერმა შეძლო ბურთის მიღება და კარში გადაგზავნა. ჰენკ ტენ კატეს შეგირდები არ დაიბნენ და მალევე გაათანაბრეს — გაბრიელის პასის მერე, ვანგელის მანციოსმა თავურით იხეირა.

68-ე წუთზე ანდრეას ივანშიცმა კუთხური ჩააწოდა, ლუკას ვინტრას დარტყმული იოზილმა კარის ხაზიდან კი გამოიტანა, მაგრამ იგივე მანციოსი იქვე იყო და — 2:1. თუმცა მასპინძლებმა, მონდომების მიუხედავად, მეტის გატანა ველარ შეძლეს და არც ანგარიშის შენარჩუნება გამოუვიდათ. 83-ე წუთზე, აქტიური იოზილის ჩინებულ კროსს ალმეიდას გამთანაბრებელი მოჰყვა.

„რაც ამ პოსტზე ვარ, ჩვენი საუკეთესო თამაში იყო. ძალიან გულდაწყვეტილი გახლავართ, რადგან აშკარად უკეთესი გუნდი ვიყავით და მოგებას ვიმსახურებდით“ — განაცხადა ტენ კატემ.

„მუსიკოსების“ მწვრთნელი თომას შააფი: „მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. კარგია, რომ 1:2-ზე სათანადო რეაქცია მოვახდინეთ და გამართლებულ რისკზე წავედით. მეტიც, ბოლო წუთებზე მომენტები რომ გამოგვეყენებინა, ეგებ მოგვეგო კიდეც, მაგრამ არც ფრეა ურიგო შედეგი“.

**გიორგი ძაძაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ანორთოსისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ვერდერი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## C ჯგუფი



ბოიან კრკიჩის მეორე საგოლე გასროლა

# მირჩა ლუჩესკუ: ეს არ ითვლება!

**შახტარი 0:1 სპორტინგი**

1:0 ლიედსონი (76)

| 18:00 | 653 | ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 20:00 | 654 | გოტებორგი-ელფსბორგი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 655 | ეურგორდენი-კალმარი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| | | | 26 ოქტომბერი | | | | | |
| 18:00 | 656 | გეფლე-ჰამარბი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | | 27 ოქტომბერი | | | | | |
| 21:00 | 657 | აიკ-იორგრიტე | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 21:00 | 658 | ლიუნგსკილე-მალმიო | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 21:00 | 659 | ხელსინგბორგი-ნორჩეპინგი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | | ფინეთი. ვეიკაუსლიგა | | | | | |
| | | | 26 ოქტომბერი | | | | | |
| 17:00 | 668 | კუოპიო-როვანიემი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:00 | 669 | ვააზა-ტურკუ | 2.95 | 3.30 | 2.20 | 1.55 | 1.26 | 1.32 |
| 16:00 | 670 | კოტკა-ლაჰტი | 4.55 | 3.65 | 1.65 | 2.02 | 1.21 | 1.13 |
| 17:00 | 671 | ჰაკა-ლაპი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 17:00 | 672 | მარიეჰამნი-ჰონკა | 5.00 | 3.70 | 1.60 | 2.12 | 1.21 | 1.11 |
| 17:00 | 673 | ტამპერე-მიუპა | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 17:00 | 674 | ინტერი-იარო | 1.30 | 4.70 | 9.50 | 1.01 | 1.14 | 3.14 |
| | | | ირლანდია. I დივიზიონი | | | | | |
| | | | 24 ოქტომბერი | | | | | |
| 22:45 | 1096 | ლიმერიკი-ათლონი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 22:45 | 1097 | სპორტინგი-კილდარი | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| 22:45 | 1098 | უოტერფორდი-დანდოლკი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 22:45 | 1099 | უექსფორდი-მონაგანი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | | 25 ოქტომბერი | | | | | |
| 22:45 | 1100 | ლონგფორდი-შელბურნი | 4.30 | 3.40 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| | | | იაპონია. J ლიგა | | | | | |
| | | | 25 ოქტომბერი | | | | | |
| 10:00 | 682 | შიმიცუ-ოსაკა | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 10:00 | 683 | ნაგოია-ივატა | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 10:00 | 684 | კიოტო-ვერდი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 10:00 | 685 | კობე-ოიტა | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 10:00 | 686 | კაშივა-იოკოჰამა | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | | 26 ოქტომბერი | | | | | |
| 08:00 | 687 | ტოკიო-კაშიმა | 3.55 | 3.25 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.19 |
| 08:00 | 688 | ნიიგატა-ურავა | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 10:00 | 689 | ომია-ჩიბა | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 12:00 | 690 | კავასაკი-საპორო | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| | | | აშშ. MLS | | | | | |
| | | | 24 ოქტომბერი | | | | | |
| 04:00 | 692 | ჩივასი-ნიუ იორკი | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| | | | მექსიკა. კლაუსურა | | | | | |
| | | | 25 ოქტომბერი | | | | | |
| 23:55 | 702 | იაგუარესი-ტოლუკა | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 23:45 | 703 | სან ლუისი-მონტერეი | 1.70 | 3.30 | 4.35 | 1.12 | 1.22 | 1.87 |
| 23:55 | 704 | ტიგრესი-ნეკაქსა | 1.50 | 3.60 | 5.90 | 1.05 | 1.19 | 2.23 |
| | | | 26 ოქტომბერი | | | | | |
| 04:00 | 699 | პაჩუკა-მორელია | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 06:00 | 700 | ატლასი-სანტოსი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 06:00 | 701 | ატლანტე-ტეკოსი | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 21:00 | 705 | პუმასი-ინდიოსი | 1.60 | 3.50 | 4.95 | 1.09 | 1.20 | 2.05 |
| 21:00 | 706 | პუებლა-კრუზ აზული | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 23:00 | 707 | ამერიკა-გვადალახარა | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | | არგენტინა. კლაუსურა | | | | | |
| | | | 25 ოქტომბერი | | | | | |
| 03:15 | 708 | ლანუსი-გოდოი | 1.75 | 3.20 | 4.35 | 1.13 | 1.24 | 1.84 |
| 01:00 | 709 | სან მარტინი-არსენალი | 1.90 | 3.10 | 3.70 | 1.17 | 1.25 | 1.68 |
| 22:10 | 712 | ველესი-კოლონი | 1.65 | 3.30 | 4.90 | 1.10 | 1.23 | 1.97 |
| | | | 26 ოქტომბერი | | | | | |
| 01:00 | 710 | ნიუელსი-ესტუდიანტესი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 23:55 | 711 | ხიმნასია ჟუჟუი-პლატენსე | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 20:10 | 713 | ბოკა ხუნიორსი-როსარიო | 1.35 | 3.70 | 9.50 | 1.00 | 1.18 | 2.66 |
| 23:20 | 715 | ხიმნასია ლპ-ბანფილდი | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 00:20 | 716 | ურაკანი-ტიგრე | 2.70 | 3.00 | 2.40 | 1.42 | 1.27 | 1.33 |
| 22:30 | 717 | რასინგი-სან ლორენსო | 2.90 | 3.10 | 2.25 | 1.49 | 1.26 | 1.30 |
| | | | ბრაზილია, ჩემპიონატი | | | | | |
| | | | 25 ოქტომბერი | | | | | |
| 23:45 | 718 | ატლეტიკო პრ-კრუზეირო | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 22:30 | 719 | ნაუტიკო-პორტუგეზა | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 22:00 | 720 | ფლუმინენსე-პალმეირასი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 22:00 | 723 | იპატინგა-ბოტაფოგო | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 23:45 | 725 | ატლეტიკო მგ-ინტერნაციონალი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 726 | სანტოსი-ფიგეირენსე | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| | | | ინგლისი. თასი | | | | | |
| | | | 25 ოქტომბერი | | | | | |
| 18:00 | 1101 | კეტერინგი-ბარნეტი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 1102 | ტამუორთი-ბაროუ | 2.35 | 3.25 | 2.65 | 1.36 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 1103 | კინგს ლინი-კიდერმინსტერი | 3.80 | 3.20 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| 18:00 | 1104 | ნორთვიჩი-ტელფორდი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 1105 | იორკი-მეიდსტოუნი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 1106 | რუშდენი-ისტვუდი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 18:00 | 1107 | სტივენიჯი-პორტსმუთი | 1.25 | 5.20 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.22 |
| 18:00 | 1108 | უოკინგი-უიმბლდონი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 18:00 | 1109 | ოქსფორდი-ბათი | 1.53 | 3.40 | 6.00 | 1.05 | 1.21 | 2.17 |
| 18:00 | 1110 | თიმ ბათი-ხელიფაქსი | 2.35 | 3.25 | 2.65 | 1.36 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 1111 | ქროული-ბაზინგი | 1.50 | 3.40 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.23 |
| 18:00 | 1112 | უეიმუთი-ბარნბორო | 1.40 | 3.75 | 7.50 | 1.01 | 1.17 | 2.50 |
| 18:00 | 1113 | ეშფორდი-ფორესტ გრინი | 4.33 | 3.60 | 1.65 | 1.96 | 1.19 | 1.13 |
| 18:00 | 1114 | ბლაითი-შეპშედი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 18:00 | 1115 | ბოსტონი-კემბრიჯი | 4.35 | 3.60 | 1.65 | 1.96 | 1.19 | 1.13 |
| 18:00 | 1116 | ბერი-ბასინგსტოკი | 2.65 | 3.50 | 2.25 | 1.50 | 1.21 | 1.36 |
| 18:00 | 1117 | დორჩესტერი-ბაშლი | 2.35 | 3.50 | 2.55 | 1.40 | 1.22 | 1.47 |
| 18:00 | 1118 | დროილსდენი-ბეგლიპერი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 18:00 | 1119 | დერპამი-პასტონი | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 18:00 | 1120 | ფლიტვუდი-ნანტვიჩი | 1.60 | 3.75 | 4.65 | 1.12 | 1.19 | 2.07 |
| 18:00 | 1121 | გრეისი-ტოტონი | 1.40 | 4.40 | 5.80 | 1.06 | 1.12 | 2.50 |
| 18:00 | 1122 | ჰემპტონი-ბრაკლი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 18:00 | 1123 | ჰინკლი-ამტონი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 18:00 | 1124 | ლეისტონი-ლიუისი | 4.35 | 3.60 | 1.65 | 1.96 | 1.19 | 1.13 |
| 18:00 | 1125 | მეიდსტონი-უიმბლდონი | 4.00 | 3.60 | 1.70 | 1.89 | 1.19 | 1.15 |
| 18:00 | 1126 | ნიუკასლი ბლუ სტარი-ალტრინჩემი | 3.80 | 3.50 | 1.80 | 1.82 | 1.22 | 1.18 |
| 18:00 | 1127 | ოქსფორდი-ისტბორნი | 4.00 | 3.60 | 1.75 | 1.89 | 1.21 | 1.17 |
| 18:00 | 1128 | რეტფორდი-ალფრეტონი | 3.20 | 3.50 | 1.95 | 1.67 | 1.21 | 1.25 |
| 18:00 | 1129 | ტორკი-ჩიპსტედი | 1.15 | 5.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.02 |
| | | | შოტლანდია. თასი | | | | | |
| | | | 25 ოქტომბერი | | | | | |
| 18:00 | 1132 | ბერვიკი-ალბიონი | 2.15 | 3.40 | 2.80 | 1.31 | 1.21 | 1.53 |
| 18:00 | 1133 | კოუდენბითი-ელგინი | 1.55 | 4.00 | 4.50 | 1.11 | 1.15 | 2.11 |
| 18:00 | 1134 | ანანი-სპარტანსი | 1.90 | 3.50 | 3.25 | 1.23 | 1.19 | 1.68 |
| 18:00 | 1135 | მონტროუზი-პანტლი | 1.50 | 3.70 | 5.00 | 1.06 | 1.15 | 2.12 |
| | | | ირლანდია. თასი | | | | | |
| | | | 24 ოქტომბერი | | | | | |
| 22:30 | 1130 | სტ პატრიკსი-ბოჰემიანსი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| | | | 26 ოქტომბერი | | | | | |
| 18:15 | 1131 | გოლუეი-დერი | 4.40 | 3.20 | 1.75 | 1.85 | 1.25 | 1.13 |

ფრენბურთი

# ხარისხმა მოიმატა ინტრიგამ დაიკლო

## ნინო მღებრიშვილი ნაკრებს ხედავს



საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ჩემპიონატს დიდი ჯიხაიში მასპინძლობს. ჩემპიონატის პირველმა წრემ ის გოგონები უნდა გამოავლინოს, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში მსოფლიო 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს ითამაშებენ. საქართველოს პირველობამ რამდენიმე თამაში უკვე მოილია, თუმც, როგორც ნაკრების მწვრთნელმა ნინო მღებრიშვილმა გვითხრა, „თბილისის" უთამაშებლობამ ჩემპიონატს გვარიანი ინტრიგა მოაკლო და საკმაოდ უმარილო თამაშები გამოვიდა. გუშინ ნინო მღებრიშვილს რომ შევეხმიანეთ, ჯერ ის ვკითხეთ, თუ გამოიკვეთნენ ნაკრების კანდიდატები.

— თამაშები მიმდინარეობს და ჩვენც ვაკვირდებით გოგონებს. უნდა ითქვას, რომ გასულ სეზონთან შედარებით მოუმატეს. ოღონდ ისიც სათქმელია, რომ თბილისის გუნდის არყოფნამ საერთო დონეზე ძალიან იმოქმედა. ჯიხაიშისა და თბილისის გუნდის დაპირისპირება ყოველთვის გარკვეულ ინტრიგას აჩენდა. რაც შეეხება სანაკრებო კანდიდატებს, პრინციპში შემადგენლობა შერჩეული გვყავს, საბოლოო განაცხადს კი ხვალ საღამოსკენ გავაკეთებთ.

— ლეგიონერებიც დაეხმარებიან?

— თურქეთში მოთამაშე დალი ალიბეგაშვილი და თინათინ ჭაოტიძე, ასევე ხორვატიაში მოთამაშე მაშა ცარენკო და ბრაზილიელები, ანდრეზა და კრისტინა, იგივე საქა და რთველო. აქაური მოთამაშეებიდან კი ფრენბურთელები ძირითადად ჩემპიონი „ჯიკოდან" იქნებიან.

— ნაკრები მზადებას როდის იწყებს?

— მალევე, როგორც კი ჩემპიონატი დამთავრდება. ნოემბრიდან დავიწყებთ და იმ მოთამაშეებს ვავარჯიშებთ, რომლებიც საქართველოში არიან. ლეგიონერები ჯერ ჩამოსვლას ვერ მოახერხებენ.

— ჩვენი ჯგუფის თამაშების ჩატარების დრო და ადგილი ჯერაც უცნობია...

— კი, ასეა, რადგან მასპინძლობას ყველა თავს არიდებს, სავარაუდოდ, ესტონეთში ან დანიაში მოგვიწევს თამაში.

— და მეტოქეებზე ხომ არ მოგიპოვებიათ ინფორმაცია?

— მოლდოვას კარგად ვიცნობთ. თბილისში მოვუგეთ კიდეც. გარკვეული წარმოდგენა გვაქვს ესტონეთზეც. აი, დანიის ნაკრებზე მართლა არაფერი ვიცით, მაგრამ ფრენბურთის ფედერაცია მუშაობს ამ მხრივ და იმედია, მალე დანიელებზეც გვექნება ინფორმაცია.

**ლექსო მაისურაძე**

ხელბურთი

# ვაის გაექცა, უის შეეყარა

## მსხვილიძე გაკოტრებულიდან უფულოში დაბრუნდა

4 ნოემბერს საქართველოს ხელბურთელთა ჩემპიონატი იწყება, თუმცა პირველობაში მონაწილე გუნდების რაოდენობა ჯერაც არ არის ცნობილი. ყველაზე უფრო რთულ სიტუაციაში ჩემპიონი „სტუ-თელავია". სტუდენტები ზაფხულის აქეთ იმის გარკვევას ცდილობენ, მოახერხებს თუ არა ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა გუნდის დაფინანსებას. ამ დრომდე სიტუაცია ბუნდოვანია, არადა, დრო აღარ ითმენს. ხელბურთის ფედერაციაში ჩემპიონატში მონაწილეობის განაცხადია შესატანი. პროცედურის გასავლელად კი ბოლო დღედ 29 ოქტომბერია დათქმული. გუშინ „სტუ-თელავის" მწვრთნელ ირაკლი კეკელიძეს კიდევ ერთხელ შევეხმიანეთ.




— არაფერი გარკვეულა და ჯერაც პასუხის მოლოდინში ვართ — გვქონდა საუბარი ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და გვითხრეს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებენ. ჩვენც ველოდებით.

— კი, მაგრამ, 29 ოქტომბერს ხელბურთის ფედერაციაში განაცხადის შეტანის ბოლო დღეა, მოასწრებთ მანამდე?

— იმედია, რომ ამ დღეებში ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება. ძალიან გვინდა ჩემპიონატში თამაში და ვნახოთ.

—გუნდი ვარჯიშობს? ზაფხულში ბევრი გაუშვით და ახალგაზრდებზე მოგიწევთ დაყრდნობა...

— ამას ისედაც შეგუებულები ვართ. ახალგაზრდები უნდა ვათამაშოთ. ბიჭები ვარჯიშობენ, მონდომებულები არიან. მართალია, წამყვანი ხელბურთელები წაგვივიდნენ, მაგრამ თუ ვითამაშებთ, იოლად არაფერს დავთმობთ. თანაც რატი მსხვილიძეც დაგვემატა და ეს სერიოზული ძალაა.

— რატი ისლანდიურ „სტიარნანში" იყო და რატომ წამოვიდა?

— „სტიარნანი" გაკოტრდა და რატიც წამოვიდა. ჯერჯერობით ჩვენთან ითამაშებს, მანამ ახალი გუნდის ვარიანტი გამოუჩნდება.

შემდეგ **რატი მსხვილიძეს** დავურეკეთ.

— „სტიარნანი" გაკოტრდა და ლეგიონერები გამოგვიშვეს. ბოლო ერთი თვის ხელფასი არ მოუციათ და არც კომპენსაცია გადაგვიხადეს.

— ბოლოს როგორი სიტუაცია იყო გუნდში — ხელფასებს არ გირიგებდნენ თუ უცბად მოხდა ყველაფერი?

— ერთი თვეა, რაც მივხვდით, რომ საქმე კარგად ვერ იყო. მერე გუნდის მენეჯერი და პრეზიდენტი მოვიდნენ და გვითხრეს, რომ „სტიარნანი" საბოლოოდ გაკოტრდა და ლეგიონერებს გვიშვებდნენ. ისე, ადგილობრივები კი ითამაშებენ და გუნდი ჩემპიონატში გამოსვლას გააგრძელებს.

— რას აპირებ? იანვრამდე სატრანსფერო ფანჯარა დახურულია...

— ჯერჯერობით „სტუ-თელავში" ვიქნები და იანვარში აუცილებლად ვიფიქრებ სხვაგან გადასვლაზე. ორი ვარიანტი უკვე მაქვს და მანამდე შეიძლება, კიდევ გამოჩნდეს რამე.

— რა ვარიანტებია?

— მაკედონიური „ვარდარი" და „მეტალურგი" მიწვევენ. ისინი იქაური ჩემპიონატის ლიდერები არიან და ვნახოთ, ჯერ დრო მაქვს.

**ლექსო მაისურაძე**

ოლიმპიზმი



გია ნაცვლიშვილი, ნინო სალუქვაძე, ზაზა კაპანაძე და დავით ნამგალაური

# ნინოს ბრინჯაოც ბინად შეფასდა

**პეკინის** ოლიმპიადაზე ქართულ დელეგაციას ნინო სალუქვაძემ პირველი მედალი მოუპოვა. ეს ყველაფერი მაშინ მოხდა, როცა საქართველოში გახურებული ომი იყო და ნერვებდაწყვეტილი მოსახლეობისთვის ნებისმიერ პოზიტიურ ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ნალიმპიადევს ჩემპიონ-პრიზიორებს შეპირებული ფულადი ჯილდოები დაურიგეს და კერძო სამშენებლო კომპანიებმა ბინებიც არ დაიშურეს. ამის ფონზე ჯილდოებს თავი რომ დავანებოთ, ნინო სალუქვაძეს სამადლობელი სიტყვებიც კი ნაკლებად ერგო. ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა სამშენებლო კომპანია, რომლის მფლობელებმაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქალის მიერ ოლიმპიადაზე მოპოვებული პირველი მედალი დააფასეს.

გუშინ შპს „არტესის" წარმომადგენელმა ნინო სალუქვაძეს დიღმის მასივში მშენებარე ოროთახიანი ბინის ორდერი გადასცა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ნინო სალუქვაძემ, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატმა გია ნაცვლიშვილმა (რომლის ინიციატივაც იყო სალუქვაძის დასაჩუქრება) და შპს „არტესის" წარმომადგენელმა ზაზა კაპანაძემ ისაუბრეს.

**დავით ნამგალაური:** მოგეხსენებათ, საქართველოში საჭიდაო სახეობებს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, ოლიმპიადის დასრულების შემდეგ კერძო ბიზნესმენების სიმპათიები, მოჭიდავეებისკენ გადაიხარა. ამიტომ იყო, რომ ნინო სალუქვაძის მედალი სანათანადოდ ვერ დაფასდა. ამის გამო ჩვენ თავს უხერხულად ვგრძნობდით, მაგრამ ვერაფერს ვცვლიდით, რადგან კერძო კომპანიის ინიციატივები მათსავე ნებასურვილზეა დამოკიდებული. არადა, მედალი მედალია, ნინო სალუქვაძის ბრინჯაოს კი იმ დღეებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული დელეგაციისთვის.

**გია ნაცვლიშვილი:** მინდა, მადლობა გადავუხადო ნინო სალუქვაძეს. იგი წლების განმავლობაში სტაბილურად და შედეგიანად ემსახურება ქართულ სპორტს. ქართველი სპორტსმენებიდან ვიქტორ სანეევისა და ლევან თედიაშვილის შემდეგ ის მესამეა, ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლების რაოდენობით. ნინო სალუქვაძეს ოლიმპიადებზე სამივე სინჯის მედალი აქვს მოგებული და ვფიქრობ, ზედმეტიცაა იმის თქმა, რომ იგი დაფასებასა და ჯილდოებს იმსახურებს.

**ზაზა კაპანაძე:** ამით საკუთარი დამოკიდებულება გამოვხატეთ ნინოს მიმართ. იმედია, ჩვენი კომპანია მომავალშიც არაერთხელ დააჯილდოებს წარმატებულ სპორტსმენებს.

**ნინო სალუქვაძე:** სიმართლე გითხრათ, ასეთ საჩუქარს არც ველოდი და არც ამის პრეტენზია მქონდა. მე მხოლოდ ყურადღებას ვითხოვდი. ამის გამო, ჩემგან დამოუკიდებლად, გაზეთებში ხშირად იწერებოდა, რისთვისაც მადლობას ვუხდი ჩემთვის სრულიად უცნობ ჟურნალისტებს. ასევე მინდა ჯილდოსთვის დიდი მადლობა ვუთხრა კომპანია „არტესს".

**ზურაბ მიგრიაული**

ძიუდო

# ტაილანდი ქართულ ძიუდოს არ სწყალობს

**გუშინ** ტაილანდში ახალგაზრდა ძიუდოისტებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. შეჯიბრების პირველ დღეს კაცებში მძიმეწონოსნებმა იჭიდავეს, ხოლო ქალებში — 48 და 52 კილოგრამ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა.

მძიმე წონაში პირველივე შეხვედრა წააგო ლევან მუქერიამ და ტურნირს გამოეთიშა. ლევანმა იუკოთი წააგო მონღოლ საგალჯარგალ ბოლდპარევთან.

48 კგ-ში ნათია ვეშაგურმა ფილიპინელი ნადინე ენკარნასიონი კი დაამარცხა იპონით, მაგრამ რუმინელ ვიოლეტა დუმიტრუსთან ველარაფერი გააწყო და მედლისთვის მებრძოლებს გამოაკლდა.

52 კგ-ში მაია ტარუაშვილმა ორი ვაზარი აწვნია მაკაოელ მაკუანს. ტარუაშვილი მეორე შეხვედრაში დამარცხდა პოლონელ მარტა კახანთან და ველარც რეპეშაჟში გააგრძელა ჭიდაობა.

**ზურაბ მიგრიაული**




# ქართული ჩაკიდული

გასულ კვირას ლადო ჩიხლაძემ და მაროკოელმა რაბი ჩაკიმ ლა როშელის ტურნირი მოიგეს წყვილებში. ამ წარმატების შემდეგ მათ კვლავ ერთად თამაში გადაწყვიტეს და ამჯერად ფრანგულ როდეზში გადაინაცვლეს.

ქართულ-მაროკოულმა წყვილმა აქაც შესანიშნავად განაგძო ჩოგნაობა და უკვე მეორე ტურნირის ფინალშიც გავიდნენ. როგორც ჩანს ეს ორი ჩოგბურთელი კარგად შეეწყო ერთმანეთს.

ფრანგული ტურნირის მეოთხედფინალში ლადო ჩიხლაძემ და რაბი ჩაკიმ ტურნირის პირველ ნომრებს ბელგიელ მასონსა და რუს ნესტეროვს მოუგეს — 6:3 6:4.

ნახევარფინალში ჩვენიანის და მისი მეწყვილის მეტოქე უკვე შეჯიბრების მესამე ნომრები, ფრანგები ონსო და ენო იყვნენ. ამათაც საკმაოდ იოლად, უპრობლემოდ მოუგეს ქართველმა და მაროკოელმა — 6:3 6:4. ფინალში გასული მეორე წყვილის ვინაობაც უკვე გარკვეულია. ესენიც ფრანგები არიან — ბალდინი და როდრიგესი.

ფრანგულ პუატიეში 100 000-დოლარიან ტურნირზე წყვილთა გათამაშების მეორე წრეში დამარცხდა მაკა ჩახნაშვილი. მას ერთეულთა შორის გამოსვლა რამდენიმე დღის წინ ჰქონდა მოთავებული. ჩახნაშვილმა და მისმა პარტნიორმა, უკრაინელმა ბეიგელ ციმერმა ჩეხურ დუეტთან — ცეტკოვსკასთან და საფაროვასთან 4:6 4:6 წააგეს.

სულ ბოლოს კი ესპანეთის ქალაქ სანკუმატში მოთამაშე ქართველების — ეკა გორგოძისა და სოფო ქვაცაბიას შესახებაც გეტყვით.

გორგოძეს პირველ წრეში მოგების შემდეგ გუშინ დასვენების დღე ჰქონდა. სამაგიეროდ, ქვაცაბაია გავიდა კორტზე და პირველივე წრეში დაასრულა თამაში ტურნირის მეექვსე ჩოგანთან — იტალიელ ფედერიკა კუერსასთან 4:6 2:6 წააგო.

**გიორგი არაბული**



## საქართველოს ჩემპიონატი
## სუპერლიგა

# სუპერლიგური განაცხადი

*ჯერ იყო და საკალათბურთო ჩემპიონატს 2008-09 წლების სეზონი დაიწყო გასულ პარასკევს, გახსნით კი კვირას გაიხსნა, ამას მოჰყვა ორშაბათს მთელი ჩემპიონატის სრული კალენდრის გამოქვეყნება.*

*უკვე გუშინ კი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gbf.ge) გამოქვეყნდა ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე ცხრავე გუნდის შემადგენლობა. თავისი მწვრთნელებითა და სხვა ხელმძღვანელების ჩამონათვალთან ერთად*

### თსუ

| | დ.წ. | სმ |
|---|---|---|
| გიორგი ყველაშვილი | 1981 | 206 |
| ლუკა შანიძე | 1981 | 201 |
| დავით ბარბაქაძე | 1982 | 203 |
| გიგი ბარბაქაძე | 1991 | 203 |
| გიორგი მარკოიშვილი | 1983 | 200 |
| შიო ხეცურიანი | 1983 | 194 |
| შალვა კოხრეიძე | 1986 | 188 |
| ზვიად გაფრინდაშვილი | 1986 | 190 |
| დავით ბერიშვილი | 1978 | 182 |
| გულივერ ახალკაცი | 1976 | 205 |

*ხელმძღვანელობა*

**ნუგზარ ჭეიშვილი** მთავარი მწვრთნელი

**ნუგზარ მარკოიშვილი** ასისტენტი

### ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| ივანე მაისურაძე | 1984 | 190 |
| დავით იმნაძე | 1982 | 208 |
| ლაშა კეშელავა | 1980 | 200 |
| მამუკა ბოლქვაძე | 1983 | 204 |
| გიორგი დოლიძე | 1986 | 194 |
| გიორგი გვაზავა | 1988 | 183 |
| რევაზ ბერიძე | 1986 | 200 |
| არჩილ ჩხატარაშვილი | 1989 | 195 |
| ავთანდილ ელიაშვილი | 1989 | 200 |
| ნიკოლოზ ნოზაძე | 1977 | 185 |
| ვასილ ჩხაიძე | 1991 | 192 |
| ტატო თავართქილაძე | 1991 | 190 |
| გიორგი კვერნაძე | 1989 | 190 |

*ხელმძღვანელობა*

**ბარი არინინი** მთავარი მწვრთნელი

**ლაშა ოჩხიკაძე** ასისტენტი

### სსსსუ

| | | |
|---|---|---|
| მიხეილ ბერიშვილი | 1987 | 204 |
| გიორგი მარხვაშვილი | 1982 | 190 |
| დავით გვიმრაძე | 1986 | 202 |
| რევაზ ათანელიშვილი | 1986 | 208 |
| ლევან ტყეშელაშვილი | 1983 | 204 |
| მერაბ ბოქოლიშვილი | 1992 | 190 |
| ირაკლი გულისაბედაშვილი | 1988 | 193 |
| ირაკლი ძიძიგური | 1988 | 193 |
| გიორგი ცერცვაძე | 1987 | 202 |
| ტატო ჩაჩიბაია | 1990 | 201 |
| დავით გასიტაშვილი | 1989 | 192 |
| გიორგი თვაური | 1990 | 202 |

*ხელმძღვანელობა*

**მიხეილ კობეშავიძე** მთავარი მწვრთნელი

**თეიმურაზ აბულაძე** ასისტენტი

### დინამო

| | | |
|---|---|---|
| გივი ბაქრაძე | 1991 | 180 |
| გიორგი ნანიტაშვილი | 1990 | 187 |
| ლექსო ლაფანაშვილი | 1987 | 196 |
| გიორგი კუჭავა | 1986 | 193 |
| ნოდარ სიგუა | 1987 | 189 |
| ვახტანგ ბოლქვაძე | 1987 | 202 |
| დავით ხიზანიშვილი | 1987 | 202 |
| ზურაბ კორკოტაძე | 1983 | 194 |
| ვახტანგ ქარდაია | 1989 | 205 |
| ირაკლი კობიძე | 1990 | 207 |
| გიორგი ჯიქია | 1989 | 193 |
| ირაკლი დოლიძე | 1986 | 195 |

*ხელმძღვანელობა*

**ზაზა ცაგარეიშვილი** მთავარი მწვრთნელი

**დავით თორთლაძე** ასისტენტი

**არჩილ ყლენტი** ასისტენტი

### მაკაბი

| | | |
|---|---|---|
| ზურაბ ბიბილური | 1988 | 206 |
| ზვიად ანთაძე | 1988 | 196 |
| ნიკა ელიკაშვილი | 1988 | 202 |
| დავით მჭედლიშვილი | 1988 | 190 |
| დავით იოსელიანი | 1991 | 207 |
| ირაკლი ივანეიშვილი | 1989 | 196 |
| ირაკლი ჩლაიძე | 1989 | 200 |
| გიორგი სუდაძე | 1989 | 185 |
| გელა კოპალიანი | 1990 | 200 |
| ნოდარ მეზვრიშვილი | 1990 | 204 |

*ხელმძღვანელობა*

**ჯამლეტ ხუხაშვილი** მთავარი მწვრთნელი

**ალექსანდრე ფერიაშვილი** ასისტენტი

**ლევან ინწკირველი** ასისტენტი

### ენერჯი-ინვესტი

| | | |
|---|---|---|
| გიორგი გამბრელიძე | 1986 | 184 |
| ზვიად ბაბიაშვილი | 1978 | 198 |
| ბესიკ ლეჟავა | 1986 | 193 |
| რეზო დიდია | 1987 | 203 |
| ლევან ცეკვავა | 1989 | 189 |
| კოტე ტულუში | 1984 | 191 |
| დავით უგრეხელიძე | 1983 | 208 |
| დავით არწივიძე | 1983 | 176 |
| ჟოლივეტ ტუჯანი | 1980 | 199 |
| მიხეილ ჭოჭუა | 1987 | 193 |

*ხელმძღვანელობა*

**დავით უსტიაშვილი** მთავარი მწვრთნელი

**მიხეილ ბერუაშვილი** ასისტენტი

### თბილავიამშენი

| | | |
|---|---|---|
| ნოდარ ბერაია | 1986 | 190 |
| ირაკლი ბერიშვილი | 1978 | 180 |
| ლევან ხოშტარია | 1976 | 195 |
| გიორგი ნიკოლაძე | 1978 | 185 |
| ბუბა კვიმსაძე | 1982 | 195 |
| ვახტანგ მინაშვილი | 1979 | 200 |
| რიჩარდ მათიაშვილი | 1989 | 207 |
| თორნიკე ნინიაშვილი | 1982 | 205 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | 1976 | 202 |
| გიორგი პირველაშვილი | 1988 | 200 |
| სოსო შერმადინი | 1985 | 207 |
| ანატოლი ბოისა | 1983 | 195 |
| გიორგი ვახანია | 1992 | 185 |

*ხელმძღვანელობა*

**ლევან მოსეშვილი** მთავარი მწვრთნელი

**ვაჟა მხეიძე** ასისტენტი

**ვახტანგ მოსეშვილი** ასისტენტი

### შსს

| | | |
|---|---|---|
| ლევან მიქაბერიძე | 1982 | 187 |
| ლაშა არველაძე | 1979 | 181 |
| ლაშვა ცხვედიანი | 1970 | 200 |
| გრიგოლ გურგენიძე | 1983 | 192 |
| შოთა პატარაია | 1982 | 175 |
| ბექა გოლეთიანი | 1988 | 193 |
| ივანე აბულაძე | 1977 | 206 |
| ოთარ ფაიქრიძე | 1985 | 191 |
| ირაკლი ბაქრაძე | 1971 | 194 |
| ბექა ნოზაძე | 1979 | 202 |
| მანუჩარ ნინუა | 1984 | 182 |
| გოჩა კორძაძე | 1983 | 208 |
| გოგი ბერაია | 1979 | 202 |
| ბეჟან ქვილითაია | 1972 | 204 |
| მიხეილ ამაშუკელი | 1983 | 192 |

*ხელმძღვანელობა*

**ზურაბ ტომარაძე** მთავარი მწვრთნელი

**პაატა ნუცუბიძე** ასისტენტი

**ზურაბ მიქაძე** ასისტენტი

### ნტდ-თბილისი

| | | |
|---|---|---|
| მიხეილ ჩიტაშვილი | 1984 | 193 |
| ლადო სუხიშვილი | 1979 | 205 |
| გიორგი მამაცაშვილი | 1986 | 200 |
| ირაკლი კეიდია | 1983 | 202 |
| ვიქტორ კოლუაშვილი | 1985 | 202 |
| პლასიდე როდუმტა | 1976 | 212 |
| ანარ სარიევი | 1981 | 198 |
| ზაურ ფაშაევი | 1980 | 186 |
| ფუად ნუფთალიევი | 1983 | 185 |
| ტაირ ბახშიევი | 1982 | 200 |
| გიორგი ტეტელაშვილი | 1992 | 188 |
| გიორგი ქარსელაძე | 1990 | 190 |
| გიორგი გლოველი | 1991 | 190 |

*ხელმძღვანელობა*

**ნუგზარ პანდელაკი** მთავარი მწვრთნელი

**დავით რიაშვილი** ასისტენტი

**კაცები**
**ბაზელი. შვეიცარია**
**ხალიჩა (დარბაზი)**
**საპრიზო 891 000 $**

### პირველი წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:3 6:7 6:3; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ედუარდო შვანკი (არგენტინა) 6:2 6:4; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — ფილიპ პეშნერი (გერმანია) 6:2 6:3; **მარსელ გრანოლიერს-პუიოლსი** (ესპანეთი) — მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) 6:2 4:6 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — ნიკლას კიფერი (გერმანია) 3:6 6:3 6:4

### მეორე წრე

**იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 7:6 6:7 7:5; **ბენჯამინ ბეკერი** (გერმანია) — ანდრეას ბეკი (გერმანია) 3:6 6:3 6:4; **ფელიჩიანო ლოპესი** (ესპანეთი) — მარდი ფიში (აშშ) 7:6 6:4

**კაცები**
**სანქტ-პეტერბურგი. რუსეთი**
**ჰარდი (დარბაზი)**
**საპრიზო 1 049 000 $**

### პირველი წრე

**ანდრეი გოლუბევი** (ყაზახეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:1 6:4; **ენდი მიურეი** (1, ბრიტანეთი) — ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 6:3 6:3; **მარატ საფინი** (რუსეთი) — სერგეი სტახოვსკი (უკრაინა) 6:2 6:4

### მეორე წრე

**ფერნანდო ვერდასკო** (3, ესპანეთი) — კარლის ლეჩნიეკსი (ლატვია) 6:1 6:3; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3 6:3; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — ჟერემი შარდი (საფრანგეთი) 6:4 7:6

**კაცები**
**ლიონი. საფრანგეთი**
**ხალიჩა (დარბაზი)**
**საპრიზო 713 000 $**

### პირველი წრე

**პოლ-ანრი მატიო** (8, საფრანგეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:3 6:4

### მეორე წრე

**ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — ტომი რობრედო (5, ესპანეთი) 6:2 6:2; **ჟილ სიმონი** (4, საფრანგეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 2:6 6:4 6:1; **ჟოსლინ ოუანა** (საფრანგეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3 1:6 6:3; **რობინ სოდერლინგი** (7, შვედეთი) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) 6:1 6:2; **ენდი როდიკი** (1, აშშ) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 7:6

**ქალები**
**ლინცი. ავსტრია**
**ჰარდი (დარბაზი)**
**საპრიზო 600 000 $**

### მეორე წრე

**აგნეშკა რადვანსკა** (3, პოლონეთი) — კაია კანეპი (ესტონეთი) 6:2 6:4; **ალიზე კორნე** (8, საფრანგეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 1:6 6:2 6:1; **ვერა ზვონარიოვა** (2, რუსეთი) — ნურია ლაგოსტერა-ვივესი (ესპანეთი) 6:2 6:0

**ქალები**
**ლუქსემბურგი. ლუქსემბურგი**
**ჰარდი (დარბაზი)**
**საპრიზო 225 000 $**

### მეორე წრე

**დანიელა ჰანტუხოვა** (3, სლოვაკეთი) — საბინე ლისიცკი (გერმანია) 6:0 6:2; **სორანა კირსტეა** (8, რუმინეთი) — სარა ერანი (იტალია) 6:4 6:2; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (7, ესპანეთი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:2 4:6 7:5; **კაროლინ ვოზნიაკი** (4, დანია) — შუაი პენგი (ჩინეთი) 6:4 6:4; **ნა ლი** (6, ჩინეთი) — მარია კორიცევა (უკრაინა) 7:6 6:3; **ივეტა ბენეშოვა** (ჩეხეთი) — ანა ჩაკვეტაძე (2, რუსეთი) 6:2 6:4



# ენდის უნდა შანხაი

ენდი როდიკს უკვე ამ კვირაში უნდა, წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის საკითხი საბოლოოდ გადაჭრას. იანკების პირველი ნომერი ლიონში რაც შეიძლება, შორს გასვლას გეგმავს, რომ შანხაიში წასვლის საქმე მაქსიმალურად გაიიოლოს — ენდი-ბიჭი უკვე მეოთხედფინალშია და კიდევ ერთხელაც რომ იხეიროს, მიზანს ალბათ საბოლოოდ უწევს.

გუშინ კი როდიკმა თანამემამულე რობი ჯინეპრის მოუგო. უნდა ითქვას, რომ ენდის მაგრად გაუჭირდა და ორჯერვე ტაიბრეიკზე იხეირა. მეტიც, ჯინეპრი თითქოს არაფერში ჩამორჩებოდა კლასით უფრო მაღალ მეტოქეს, მაგრამ როდიკმა ამ შეხვედრაში მთელი დატვირთვით აამუშავა თავისი ყუმბარმტყორცნი, 26-ჯერ ჩააეისა და ამის ხარჯზე იხეირა კიდეც. სულ კი წლეულს გამართულ 58 შეხვედრაში როდიკმა 822 ეისი გააკეთა. ამ მაჩვენებლით ამერიკელი მხოლოდ ივო კარლოვიჩს ჩამორჩება, რომლის ანგარიშზეც 949 მომგებიანი ჩამოწოდებაა.

მეოთხედფინალში როდიკს რობინ სოდერლინგთან მოუწევს დატაკება, რომელიც თავის მხრივ კრისტოფერ როხუსს ძალიან იოლად გაუმკლავდა. შვედმა დაამტკიცა, რომ ძლიერად მოწოდება მასაც კარგად ეხერხება, როცა ბელგიელს 20 ეისი აგემა. ასე რომ, შვედსა და ამერიკელს ახლა ერთმანეთში მოუწევთ იმის გარკვევა, თუ ვინ უფრო სრულყოფილად ფლობს საეისო ტექნიკას.

როდიკის ანალოგიური მიზნები ამოძრავებს ჯეიმს ბლეიკსაც, რომელიც ამ კვირას ბაზელში თამაშობს. ეს ამერიკელიც წლის შემაჯამაბელ ტურნირზე მოხვედრას ცდილობს, მაგრამ თანამემამულეზე უარეს სიტუაციაშია — შანხაიში გამსვლელ რვა საუკეთესოს მიღმა იმყოფება და ახლა ყველანაირად ცდილობს იქ მოხვედრას. ღლეისთვის ეს შავ-შავა იანკი რეიტინგში მერვე ადგილზე მყოფ ხუან მარტინ დელ პოტროს 27 ქულით ჩამორჩება, რის გამოც შვეიცარიაში მაქსიმალურად კარგად თამაში სჭირდება.

ბლეიკმაც დაიწყო წინსვლა და პირველი წრე დაძლია კიდეც, თუმც ნიკლას კიფერის დამარცხებას ბლომად ძალები შეალია. გერმანელმა სეტიც კი გამოსტაცა ამერიკელს, მაგრამ ამის მეტს ველარ გასწვდა. ყველაფერი მაინც ჯეიმსის დიდმა მოტივაციამ გადაწყვიტა და ბრძოლასაც ის გააგრძელებს.

დღის ყველაზე დაძაბული დაპირისპირება კი იგორ ანდრეევსა და ფილიპ კოლშრაიბერს შორის გაიმართა. ჩოგბურთელებს სამი სეტი, აქედან ორი ტაიბრეიკი და სამსაათ-ნახევარი დასჭირდათ ურთიერთობების გასარკვევად, ბოლოს კი მაინც რუსმა იძალა და მეოთხედფინალშიც გავიდა.

შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს ბაზელში თამაშზე დათანხმდა ადგილობრივთა კერპი როჯერ ფედერერი. ერთი წლის წინ დიადმა ალპელმა დაღლილობა მოიმიზეზა და თანამემამულეებს მაგრადაც დასწყვიტა გული, თუმც ახლა ეს შეცდომა გამოასწორა და მშობლიურ ქალაქში მაინც ჩავიდა. ისე, „მხიარული როჯერი" არც ახლა უნდა იყოს დასვენებული, რადგანაც თავის სასტარტო მატჩში საკმაოდ მძიმედ გამოიყურებოდა და ამიტომაც ძალიან უგერგილო ბობი რეინოლდსის დამარცხებას სამი სეტი მოანდომა.

სანკტ პეტერბურგში მომხდარიდან ალბათ უმთავრესი მოქმედი ჩემპიონისა და წლეულს პირველ ნომრად განთესილ ენდი მიურეის მოგება გახლდათ. ბრიტანელი ვიქტორ ტროიცკის ყოველგვარი თავისი ტკივილის გარეშე გაუმკლავდა.

ქალები კი ამ კვირაში ავსტრიულ ლინცსა და ლუქსემბურგში არაიან გადანაწილებულნი. მართალია, ალპებში მიმდინარე ტურნირზე უფრო დიდი საპრიზოა, მაგრამ სამაგიეროდ შემადგენლობა ორივეგან გვარიანად ვარსკვლავური შეიკრიბა.

ლინცში კარგი დღე ჰქონდათ ფავორიტებს, რადგანაც ვერა ზვონარიოვამაც და აგნეშკა რადვანსკამაც ადვილად იხეირეს. მოგება ამ უკანასკნელს უფრო სჭირდებოდა, რადგანაც პოლნელმა ამით წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის შანსები მცირე ხნით მაინც გაიხანგრძლივა.

ლუქსემბურგში კი პირველივე წრეში წააგო ანა ჩაკვეტაძემ. უკვე არაერთხელ გვითქვამს, რომ ეს რუსი სეზონის მეორე ნახევარს ამაზრზენად ატარებს. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ანამ ბოლო შვიდი ტურნირიდან მხოლოდ ერთში შეძლო მეორე წრეში გასვლა. ეს პეკინში დაახლოებით ერთი თვის წინ მოხდა, სადაც მან ივეტა ბენეშოვას დამარცხება შეძლო. ჰოდა, ჩეხმაც შური გუშინ იძია და ლუქსემბურგში უკვე თვითონ იმარჯვა, რითაც ჩაკვეტაძის კოშმარული სერია კიდევ უფრო გაახანგრძლივა.

**კახა ლომაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

NHL

**ფილადელფია 6:7 სან ხოსე**
3:4 1:1 2:1 0:1 (ბულიტებით)
1:0 კარტერი (1), 1:1 პაველსკი (8), 1:2 კლოუ (9), 2:2 რიჩარდსი (13), 2:3 მარლო (16), 3:3 აფშელი (18), სეტოგუჩი (20), 4:4 ლუპული (24), 4:5 ბოილი (33), 4:6 მარლო (41), 5:6 ლუპული (42), 6:6 ბრიარი (59)

**სენტ ლუსი 3:4 დეტროიტი**
0:1 1:2 2:1
0:1 ზეტერბერგი (12), 0:2 ჰოლმსტრიომი (22), 0:3 ლიდსტრიომი (38), 1:3 ტკაჩუკი (40), 2:3 ბოისი (51), 2:4 ფრანცენი (55), 3:4 ოში (59)

**ოტავა 1:3 ფლორიდა**
2:0 1:1 0:0
0:1 ოლეში (5), 0:2 ჰორტონი (6), 1:2 ალფრედსონი (23), 1:3 სტილმანი (32)

**ნიუ ჯერსი 5:0 დალასი**
1:0 2:0 2:0
1:0 ლანგერბურნერი (2), 2:0 მედენი (30), 3:0 მედენი (31), 4:0 პარიზე (50), კლარკსონი გრინი (51)

**ჩიკაგო 3:0 ედმონტონი**
2:0 1:0 0:0
1:0 შარპი (3), 2:0 სიბრუკი (19), 3:0 ჯონსონი (33)

# ის, რაც წარმოუდგენლად ჩანდა

**მარტინ ბროდო** კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ნჰლ-ურ რეკორდებს.

გუშინ „ნიუ ჯერსიმ" პირწმინდად დაჩაგრა „დალასი" და მშობლიურ ნიუარკში 5 უპასუხო შაიბით დააჯილოდვა ტეხასელები.

„ეშმაკები" მალევე დაწინაურდნენ. ჯემი ლანგერბურნერმა უკვე მეორე წუთზე შეაგდო და შემდეგ „ვარსკვლავები" ახლოსაც არ გაიკარეს. „ნიუ ჯერსის" კარგად გამართული დაცვითი თამაშის ჩვენება არასდროს უჭირდა და ამ მხრივ არც ახლა მოიკოჭლებს — გუნდმა კარგად ჩაკეტა საკუთარი კარის მისასვლელები, ხოლო როცა „დალასმა" გაფაფხურება სცადა, ბროდომ იყოჩაღა. სამაგიეროდ, მასპინძლებმა კონტრშეტევებზე გაილაღეს და ოთხჯერ მწარედ უკბინეს სტუმრებს. მძიმე დღეში ჩავარდა „დალასის" მეკარე მარტი ტურკო, რომელიც მწვრთნელმა დეივ ტიპეტმა დაინდო და მეოთხე გაშვებული გოლის შემდეგ ყინულიდან გაიყვანა.

„ყოველთვის ვამბობდი, კარგი დაცვითი თამაში წარმატების მთავარი კომპონენტია-მეთქი. ბოლო წლებში ცოტა კი მოვიკოჭლებდით, მაგრამ წლეულს აშკარად მოვუმატეთ. ამიტომაც არ მეშინია იმის თქმა, რომ კიდევ ბევრს გავამწარებთ" — ნამატჩევს უხასიათობას არ უჩიოდა ლიგის ერთ-ერთი წამყვანი დაცვითი ტიპის თავდამსხმელი ჯონ მედენი, რომელიც გუშინ შეტევაშიც გამოირჩა და ტურკო ორი შაიბით „დააჯილოდვა".

თუმც ამ შემთხვევაში გუნდური წარმატება მეორე პლანზე გადავიდა, რადგანაც ამ სეზონში ყველა ბროდოს მისჩერებია — „ეშმაკთა" ცოცხალ ლეგენდას ხომ წლეულს ორი უმაღლესი სამეკარეო რეკორდის დამხობა ხელეწიფება და ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ მარტინი ამას მოახერხებს, რადგან ეს ბროდოს 98-ე მშრალი მატჩი გახლდათ. ჰოდა, ახლა „ნიუ ჯერსის" კარის დარაჯი 5 შაიაუტითღა ჩამორჩება „დეტროიტის" ლეგენდარულ კიპერ ტერი საუჩუკის მიღწევას — არადა, „რედ ვინგსის" მეკარის რეკორდს ბევრი სამუდამოს ეძახდა და ჯერაც სამი-ოთხი წლის წინ წარმოუდგენელი იყო, რომ ვინმე მის დამხობას შეძლებდა. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ წლეულს გამართული 6 შეხვედრიდან ბროდომ უკვე 2-ჯერ შეინახა საკუთარი კარი მშრალად, ძნელი წარმოსადგენია, მიზანს ვერ უწიოს.

ბროდოს მხოლოდ ეს არ ჰყოფნის და აპირებს, კიდევ ერთ დიდ მეკარეს აჯობოს — „მონრეალისა" და „კოლორადოს" სუპერმეკარე პატრიკ რუას ვგულისხმობთ. მოგეხსენებათ, რომ „წმინდა პატრიკს" ნჰლ-ის ისტორიაში ყველაზე მეტი 551 მატჩი აქვს მოგებული. გუშინდელი წარმატების შემდეგ კი „ნიუ ჯერსის" კარის დარაჯი 8 მოგებითღა ჩამორჩება რუას და თუ რამე სასწაული არ მოხდა, მას ჯერ კიდევ ახალ წლამდე უნდა გადაუსწროს.

**კახა ლომაშვილი**



მარტინ ბროდო

# დერიკ როუზი: ხარების კიდევ ერთი მოზვერი



„ორლანდომ" ეს თამაში 101:90 მოიგო და საგამოფენო სერიაც ასე დაასრულა. მის რიგებში გამოირჩნენ 29 წლის ფორვარდები — რაშარდ ლუისი და ჰედო თურქოღლუ. ორივემ 22:22 ქულა გააკეთა და გუნდს პირველი ტაიმი 20 ქულით მოაგებინა. ინერტული ჩანდა ნბა-ს და მსოფლიოს ყველაზე ათლეტური ცენტრი დუაიტ ჰოვარდი — მას ხომ დასამტკიცებელი არავისთან არაფერი აქვს, ყოველ შემთხვევაში, საგამოფენო დონეზე. სამაგიეროდ, „სუპერმენმა" თანაგუნდელები აქო — ჩვენი ფორვარდების წვლილი მთელ ნბა-ში გამორჩეულია და მათი წყალობით გუნდი პრაქტიკულად იდეალური სათამაშო მანქანააო.

მაიოზე უკეთ გამოიყურებოდა კიდევ ერთი იმედისმომცემი ახალბედა — „ჩიკაგოს" გამთამაშებელი დერიკ როუზი, რომელმაც წინა შეხვედრაში „დალასთან" 30 ქულა გააკეთა, ოთხშაბათს კი „მინესოტას" 17 ქულა ჩაუგდო და ზედ 6 პასი და 5 მოხსნა დაამატა, „ჩიკაგომ" კი ის თამაში 85:75 მოიგო. ნამდვილი თამაშები რომ დაიწყება, როუზის შედეგიანობა ალბათ მოიკლებს. მის გუნდში გაცილებით საგრძნობი სიმჭიდროვეა, ვიდრე მაიოსაში — „ჩიკაგოს" გამთამაშებლისა და მსროლელის ორ პოზიციაზე ოთხი კარგი კალათბურთელი ჰყავს — ბენ გორდონი, კირკ ჰაინრიხი, ლარი ჰიუზი და თავად დერიკ როუზი და ამ უკანასკნელს ალბათ შეეზღუდება სათამაშო დრო, თუმც ის ჯერჯერობით ამართლებს მასზე გაცემულ კრედიტს.

**ნიჭიერი** კალათბურთელი ჩანს „მემფის გრიზლიზის" ახალბედა ლიდერი ოჯეი მაიო და დრო ალბათ განამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ გუნდმა ტყუილად არ გაუცვალა ის „მინესოტას" ზედ დრაფტზე, მაგრამ 21 წლის გამთამაშებელს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი. ნბა-ში თამაშის ერთ-ერთი თავისებურება მატჩების ინტენსივობაა — ყოველ გუნდს რეგულარული ჩემპიონატის ექვს თვეში ყოველ კვირა დაახლოებით სამი შეხვედრის გამართვა მოუწევს და ახალბედა ვარსკვლავი რაც მალე ჩაჯდება ასეთ გიჟურ რიტმში და რაც მალე ისწავლის ძალათა გადანაწილებას, მით უფრო გაუადვილდება ნბა-ში ადაპტირება.

„მემფისმა" უკანასკნელი საგამოფენო მატჩი „ორლანდოსთან" გამართა, სადაც მაიო აშკარად ძალებდაშრეტილი ჩანდა — ცუდად უტევდა, ხშირად ჯარიმდებოდა და იმაში, რომ 10 ქულა და 5 დაკარგვა მოუგროვდა, „ორლანდოს" დაცვა ნაკლებადაა „დამნაშავე". არადა, მაიოს აშკარად მეტი შეუძლია, მისი ნიჭის პატრონისთვის, თანაც შიდა კონკურენციას მოკლებულ „მემფისში", 20 ქულის მოხვეჭა პრობლემა არაა.

მორიგი თამაში მოიგო „დეტროიტმა", „კლივლენდმა" კი მორიგი წააგო. „კლივლენდის" ლიდერი ლებრონ ჯეიმსი ფორმაში კი იყო გამოწყობილი, მაგრამ თამაშში არ ჩართულა, სკამიდან ადევნებდა თვალს თავისიანთა ჯახირს. გამარჯვებულთა შორის გამორჩნენ სათადარიგო როდნი სტაკი (20 ქულა) და ჯეიმსის მხარდამჯარ ოლიმპიადის მომგები ტაიშონ პრინსი, რომელიც პეკინიდან ჩამოსვლის შემდეგ ძალზე გამოფიტული ჩანდა და საგამოფენო მატჩებში აშკარად მოტივაციის ნაკლებობა ეტყობოდა, თუმც „კლივლენდთან" ბოლოს და ბოლოს გამოცოცხლდა და 29 წუთში 17 ქულა გააკეთა. „დეტროიტმა" მესამე მეოთხედში გატეხა მეტოქე და საბოლოოდ 97:79 იძალა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## თურმე სანერვიულო არაფერი ყოფილა
# ბრაიანტი და ლეიკერსი გადარჩნენ

„**ლეიკერსის**" ფანებს შეუძლიათ, მშვიდად ამოისუნთქონ. კობი ბრაიანტის მუხლი გადარჩა, ორშაბათს „შარლოტთან" მიღებული ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. ვიცე-ჩემპიონთა ლიდერი და გასული სეზონის უძვირფასესი მოთამაშე ცოტას დაასვენებს მუხლს, ყინულებში ჩააცივებს და 28 ოქტომბერს რეგულარული ჩემპიონატის დასაწყისს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

არადა, მოლოდინი მძიმე იყო, კობიმ მეორე მეოთხედის ბოლოს მეტოქის ფარზე ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში თანაგუნდელ ჯოშ პაუელს მიარტყა მუხლი და გამწარებულმა ზედ იტაცა ხელი. „ძალიან შემეშინდა, 5-10 წუთი ვერაფრით დავწყნარდი, მხოლოდ უარესზე ვფიქრობდი. ღამეც ცუდად მეძინა, ვილვიძებდი და მუხლს დავცქეროდი, ხომ არ გამისივდა-მეთქი."

თურმე სანერვიულო არაფერი ყოფილა.





# უეფას თასი 2008-2009
## ჯგუფური ეტაპის ტური

ბიბლიოთეკა



შალკე — პსჟ. ფრანგმა მაბიალამ საკუთარ კარში გაიტანა, გერმანელმა კურანიმ კი მეტოქისაში

### I ჯგუფი

**შალკე 3:1 პსჟ**

1:0 მაბიალა (12ს.კ.), 2:0 კურანი (39), 3:9 ალთინთოფი (69), 3:1 შანტომი (90)

**ტვენტე 1:0 რასინგი**

1:0 დენებუმი (6)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ტვენტე | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სიტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| რასინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| პსჟ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

### II ჯგუფი

**გალათასარაი 1:0 ოლიმპიაკოსი**

1:0 კიუელი (25)

**ჰერტა 1:1 ბენფიკა**

0:1 მარია (51), 1:1 პანტელიჩი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბენფიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჰერტა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მეტალისტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ოლიმპიაკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

### III ჯგუფი

**პარტიზანი 1:2 სამპდორია**

0:1 ბონაცოლი (20), 1:1 დიარა (34), 1:2 დესენა (55)

**სევილია 2:0 შტუტგარტი**

1:0 რომანიჩი (15), 2:0 რენატო (16)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სამპდორია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სტანდარდი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| პარტიზანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| შტუტგარტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### IV ჯგუფი

**უდინეზე 2:0 ტოტენჰემი**

1:0 დი ნატალე (24პ), 2:0 პეპე (86)

**დინამო 3:2 ნაიმეგენი**

1:0 მანჟუკიჩი (3), 1:1 კარლოსი (23ს.კ.), 1:2 იანსენი (78), 2:2 ბალაბანი (81), 3:2 ვრდოლიაკი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უდინეზე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| დინამო (ზ) | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| სპარტაკი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ნაიმეგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ტოტენჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### V ჯგუფი

**ჰერენვენი 1:3 მილანი**

0:1 ინძაგი (19), 0:2 გატუზო (23), 0:3 ინძაგი (69), 1:3 პრანიჩი (85პ)

**ბრაგა 3:0 პორტსმუთი**

1:0 აგუიარი (8), 2:0 რენტერია (47), 3:0 ალანი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაგა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ვოლფსბურგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ჰერენვენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| პორტსმუთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### VI ჯგუფი

**ჟილინა 1:2 ჰამბურგი**

0:1 პეტრიჩი (15), 0:2 ოლიჩი (44), 1:2 რილკე (69)

**ასტონ ვილა 2:1 აიაქსი**

1:0 ლაურსენი (8), 1:1 ემანუელსონი (22), 2:1 ბარი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ასტონ ვილა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| აიაქსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჟილინა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

### VII ჯგუფი

**კოპენჰაგენი 1:3 სენტ-ეტიენი**

0:1 გომისი (2), 0:2 პერინი (37), 1:2 სანტინი (59პ), 1:3 პაიეტი (65)

*ნორდსტანდმა ვერ გაიტანა პენალტი (4, კოპენჰაგენი)*

**რუსენბორგი 0:0 ბრიუგე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ-ეტიენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ბრიუგე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| რუსენბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ვალენსია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| კოპენჰაგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

### VIII ჯგუფი

**ცსკა 3:0 დეპორტივო**

1:0, 2:0 ძაგოევი (9, 12), 3:0 ლავი (60)

**ნანსი 3:0 ფეიენოორდი**

1:0 ზერკა (48), 2:0 ფერე (54), 3:0 ელდერი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ცსკა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ლეხი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ფეიენოორდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## ევროპის U-17 ჩემპიონატი

**შესარჩევი მატჩები**

**იტალია 3:1 ლატვია**

**ჰოლანდია 0:0 კვიპროსი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბულელიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლუიზა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge